პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი შაბათი 17 მარტი № 65 (17410) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ლენინური შაბათობა გვიხმობს

გამოვლენ ერთსულოვნად

თბილისი. 21 აპრილს ტყიბულის საგალანტერეო ფაბრიკის მთელი კოლექტივი ერთსულოვნად გამოვა ლენინურ „წითელ შაბათობაზე“ სამუშაოდ.

ოთხასი კაცი შაბათობის აღსანიშნავ შრომითს ზეიმზე უშუალოდ პროდუქციას აწარმოებს, რომელიც თხუთმეტი ათასი მანეთის ღირებულების დოვლათს შექმნის. ამ დღეს გამომუშავებული ხელფასიდან ოთხი ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში ჩაირიცხება.

საწარმოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, სულ 80 კაცი, შაბათობის დღეს ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოებს შეასრულებს. („კომუნისტის“ კორ.).

„პროგრეს-5“ სოფალდის დაცლა და სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები „სალუტ-6“ სადგურში

ფრუნზის მართვის ცენტრი, 16 მარტი. (საკდუსი). „სალუტ-6“ — „სოიუზ-32“ პილოტირებულ კომპლექსთან „პროგრეს-5“ სატვირთო ხომალდის წარმატებით შეპირაპირებისა და მისი პერმეტულობის შემოწმების შემდეგ 15 მარტს 9 საათზე მოსკოვის დროით ეკიპაჟმა გახსნა შიდა ლუკები და დაიწყო სატრანსპორტო ხომალდის დაცლა.

ამავე დროს დაიწყო სადგურის გაერთიანებული ძრავის დანადგარის სათბობის ხისტემის სარემონტო-პროფილაქტიკური ოპერაციები და სატვირთო ხომალდით მიტანილი სათბობით მისი კმაგაწყობისათვის მომზადება.

კოსმონავტების ვლადიმერ კოვალიონოკისა და ალექსანდრე ივანჩენკოვის სადგურში მუშაობის დამთავრების დროს აღინიშნა ძრავის დანადგარის ჩაბერვის სისტემის პნევმომაგისტრალებში საკონტროლო პარამეტრების ერთგვარი გადახრა. ეს გადახრა გავლენას არ ახდენდა ძრავის დანადგარის საერთო ნორმალურ მუშაობაზე.

სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების გეგმის შემუშავების პროცესში მოეწყო წარმოქმნილი სიტუაციის მოდელირება, შესრულდა საჭირო ექსპერიმენტები დედამიწის საცდელ სტენდებზე, რამაც მართვის ცენტრისა და ეკიპაჟის მოქმედების თანამიმდევრულობის განსაზღვრის შესაძლებლობა შექმნა ამ სამუშაოთა განხორციელების დროს.

ძირითადი აღდგენითი ღონისძიებანი დაიწყო დილით 16 მარტს. თავდაპირველად განხორციელდა „სალუტ-6“ — „სოიუზ-32“ — „პროგრეს-5“ კომპლექსის დატრიალება განივი ღერძის გარშემო ცენტრიდანული ძალების მეოხებით გაუმართავ ავზში საწვავისა და აზოტის განცალკევების უზრუნველყოფის მიზნით. შემდეგ სათბობის მეტი ნაწილი გადაასხეს საწვავის მეორე ავზში, ხოლო გაზიანი ნარჩენები — „პროგრეს-5“ ხომალდის თავისუფალ ჭურჭელში. ამის შემდეგ გახსნეს საჩქარელი კოსმოსური ხიფრცეში, რათა ავზი და მასთან დაკავშირებული მილსადენები საბოლოოდ დაცლილიყო საწვავის ნარჩენებისაგან.

კოსმოსში სამუშაოთა შესრულების დროს ასეთივე ოპერაციები მოეწყო დედამიწაზე, ძრავის დანადგარის ფიზიკურ ანალოგზე და „სალუტ-6“ სადგურის მათემატიკურ მოდელში. მომდევნო შვიდ დღეში გაგრძელდება ავზისა და მაგისტრალების გაწმენდა ეკუუმირებისა და აზოტით გაჭრევის გზით.

ნაშუადღევს ეკიპაჟი ასრულებს სადგურში ტვირთის გადატანის ოპერაციებს. 17 და 18 მარტს ვლადიმერ ლიახოვსა და ვალერი რიუმინს დასვენების დღეები აქვთ.

შაბათობის ანგარიშში

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების ყველა საწარმოში მოქმედებს ვ. ი. ლენინის დაბადების 109-ე წლისთავის აღსანიშნავად კომუნისტური შრომის დღესასწაულის მოწყობის შტაბები და ოპერატიული ჯგუფები, აქ რეგულარულად იღებენ ცნობებს მოძრავი შემადგენლობის მომზადების, სარემონტო-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესახებ. თბილისისა და ხაშურის სალოკომოტივო დეპოების მემანქანეები გულდაჯერებულად მიიწევენ დასახული მიჯნისაკენ — 21 აპრილს გადაზიდონ 50 ათასი ტონით მეტი სახალხო-სამეურნეო პროდუქცია, ვიდრე წინაულებრივ დღეებში. მათ წლის დამდეგიდან უკვე დაზოგეს 170 ათასამდე კილოვატსაათი ელექტროენერგია და კარგი მარაგანამეტი შექმნეს იმისათვის, რომ შაბათობის დღეს ყველა ელმავალი დაზოგილი ელექტროენერგიით მუშაობდეს.

სავაგონო დეპოების მშრომელებმა გრაფიკის გასწრებით დადგეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს რვა ჩარხი და მძლავრი წნეხი, ხოლო ახალგაზრდა მუშებისათვის დამატებით შექმნეს მოწინავე გამოცდილების შესწავლის ორი სკოლა. ეს მათ საშუალებას მისცემს მიმდინარე წლის 21 აპრილს გაარემონტონ 12 ვაგონითა და კონტეინერით მეტი, ვიდრე გასული წლის შაბათობაზე. თბილისის სამგზავრო, თბილისის სატვირთო, ხაშურის საუბნო სადგურების მორიგეები „წითელი შაბათობის“ ანგარიშში სამოცჯერ იმორიგებენ — ეს 15-ით მეტია, ვიდრე შარშან. რა თქმა უნდა, ერთ დღეში ამის გაკეთება შეუძლებელია და რკინიგზელები მორიგეობით გამოდიან კომუნისტური შრომის დღესასწაულზე. მემანქანეებმა — სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა ვ. ჩიქოვანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა უ. მაჭარაშვილმა. კომუნისტური შაბათობის ანგარიშში უკვე წაიყვანეს მძიმე წონის შემადგენლობები და დანიშნულების ადგილს გეგმის გადამეტებით მიიტანეს 580 ტონა ტვირთი. (საქინფორმი).

მხარი დაუჭირეს

ბორი. (საკ. კორ.). ბამბეულის ქსოვილების საწარმოო გაერთიანების მრავალთასიანმა კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოებს, რომლებმაც გადაწყვიტეს 21 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 109-ე წლისთავისადმი მიძღვნილი „კომუნისტური შაბათობა.

წინასწარი გაანგარიშებით, „წითელ შაბათობაზე“ 3550 კაცი გამოვა, დამზადდება 46000 მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში 2500 მანეთი გადაირიცხება.

დიდი სამუშაოები შესრულდება გაერთიანების ტერიტორიაზე, ფეიქართა დაბაში, დაირგება 2000-ზე მეტი ხე და ბუჩქი.

დამკვრელურად იშრომეს

ცხინვალი. („კომუნისტის“ კორ.). დამკვრელურად იშრომეს ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. ვალდებულებით პირველ კვარტალში უნდა მიეღოთ და სახელმწიფოსთვის მიეყიდათ 127 ცენტნერი რძე, ფაქტიურად დავალება ვადამდე შეასრულეს, სახელმწიფოს მიეყიდა 129 ცენტნერი რძე. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის დამზადების პირველი კვარტალის გეგმა.

გეჯეთის საბჭოთა მეურნეობის სარემონტო სახელოსნოში ტრაქტორისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტზე მთელი დღე შეუფერხებლად მუშაობდნენ ზეინკლები, ხარატები, მექანიზატორები. შედეგიც კარგია.

მექანიზატორები ახალშეკეთებული ტრაქტორებით საგაზაფხულო კულტურების დასათესად ამზადებენ ნიადაგს.

დაფინაურდნენ

ზნაური. (საკ. კორ.). მუგუთისა და ავნევის კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს შემოდგომის ხორბლის ნათესებში მინერალური სასუქების შეტანა. ავნევის კოლმეურნეობის მექანიზატორს შ. გაბარაევს ჯეჯილებში, შეუფერხებლად შეაქვს სასუქი. საფქვავ აგრეგატს კარგად ამუშავებს მექანიზატორი ნ. ჯავახიშვილი. მან უკვე გამოკვება 120 ჰექტარ შემოდგომის ნათესი. მუგუთის კოლმეურნეობის მექანიზატორს ნ. ბესაევს ყოველწლიურად 10 ჰექტარ ჯეჯილში შეაქვს სასუქი.

ტემპი ძლიერდება

მცხეთა. („კომუნისტის“ კორ.). საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების აგროვადებში დამთავრების მიზნით მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის (დირექტორი — ა. მინდაძე) მექანიზატორებმა იკისრეს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულონ 25 მარტისათვის. მექანიზატორებმა სიტყვა საქმედ აქციეს — როგორც ტრაქტორების, ისე სათესი მანქანების, ფარცხების რემონტის პირველი კვარტალის დავალება ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულეს.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲩᲕᲔᲜᲘ პარტიის ყურადღების ცენტრში მუდამ დგას საბჭოთა ადამიანების სულიერი ცხოვრების მუდმივი გამდიდრება, მათი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ზრდა, ნიჭის აყვავება, ადამიანისა და მისი სულიერი სამყაროსადმი ამ ყურადღებას განსაზღვრავს სოციალისტური წყობილების ჰუმანისტური არსი, მისი ობიექტური მოთხოვნილებები. იგი გვიანდერძა ვ. ი. ლენინმა, რომელიც მიგვითითებდა, რომ ახალი საზოგადოება, ახალი სახელმწიფო „...ძლიერია მასების შეგნებულობით, იგი ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, ყველაფერზე შეუძლიათ იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ“.

საზოგადოების წევრთა შეგნებისა და აქტიურობის განუხრელი აღმავლობის ხაზი მკაფიოდ არის გამოხატული სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში. ჩვენი პარტია, საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის განათლებისა და კულტურის ამაღლებისათვის. თვალსაჩინო სოციალური მიღწევა იყო ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობის ყველა ჯგუფი თანდათანობით აღწევს ცოდნის იმ დონეს, რომელიც დამახასიათებელია გონებრივი შრომის პირთათვის. მაგალითად, მუშათა სამ მეოთხედს ახლა უმაღლესი და საშუალო (მათ შორის არასრული) განათლება აქვს. 95 მილიონზე მეტი კაცი ჩაბმულია სხვადასხვა სახეობის სწავლებაში — სასკოლო, სპეციალურ, პროფესიულ, პარტიულ-პოლიტიკურ სწავლებაში და ასე შემდეგ.

სულ უფრო სრულად კმაყოფილდება მასების მზარდი ლტოლვა ცოდნისადმი, კულტურის სიმდიდრისადმი, საყოველთაოდ ცნობილია ფაქტი: მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა გამოცემებითაც, რაოდენობითაც, აგრეთვე თანამედროვე ავტორთა თარგმანების ტირაჟით საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ჩვენს ქვეყანაზე ამბობენ, რომ იგი „ყველაზე მკითხველი ქვეყანაა“: ყოველწლიურად ჩვენში გამოდის 1,8 მილიარდამდე წიგნი. მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჟურნალ-გაზეთებმა, რომლებიც მრავალმილიონიანი ტირაჟით გამოდის, ტელევიზიამ და რადიომ. სსრ კავშირის მოქალაქენი იღებენ მართალ, ყოველმხრივ ინფორმაციას საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების მოვლენების შესახებ.

საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო იმ დიდი იდეებისა და ძლიერი გრძნობების ერთიანობაა, რომლებიც დაკავშირებულია კოლექტივის ინტერესებთან, ჩვენი საზოგადოების ამოცანებთან, კომუნისტურ იდეურობასა და მრწამსთან. კომუნისტური იდეოლოგია განსაზღვრავს ჩვენი ადამიანების ფიქრებსა და გრძნობებს, მათ ზნეობრივ თვისებებს, სამშობლოს სიყვარულს, ამხანაგობასა და კოლექტივიზმს, კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას საერთო საკეთილდღეო შრომისა და ხალხის დოვლათისადმი, შეურიგებლობას იმისადმი, რაც აფერხებს ჩვენს წინსვლას, მისთვის დამახასიათებელია ინტერნაციონალიზმი და შეურიგებლობა მშვიდობის მტრებისადმი, ხალხთა თავისუფლების მტრებისადმი. უდრეკი და შეუპოვარი — ასეთია საბჭოთა ადამიანი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოვალეობის შეგნება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, მისწრაფება თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი ამოცანების გადაწყვეტაში, ეს თვისებები გამოიწვრთო კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლასა და შრომაში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებში „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყაზირი“ დამაჯერებლად არის ნაჩვენები ჩვენი თანამედროვის სულის მოძრაობის დიალექტიკა, რომელმაც აღიქვა მშობლიური პარტიის ლენინური იდეების სიმართლე. მათში ღრმად არის გაშუქებული ახალი ადამიანის ძალა და სილამაზე, რომლის გულშიც მუდამ მოიძებნება ადგილი ცხოვრებისეული ზრუნვისა და დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მისწრაფებებისათვის, მშვიდობის ბედზე ფიქრებისათვის, არის ისტორიასთან პირადი კავშირის გრძნობა.

საბჭოთა ადამიანების მაღალი შეგნება, ზნეობრივი სიმწიფე, განათლებისა და კულტურის მზარდი დონე განაპირობებს შრომითი შემოქმედების მასობრივ ხასიათს. მარტო შარშან დაინერგა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა 4 მილიონი წინადადება. სოციალისტურ შეჯიბრებაში სულ უფრო შესამჩნევია მისი ის ფორმები, რომლებიც გამოხატავს მასების ეკონომიკურ და სოციალურ შემოქმედებას. ეს არის შემხვედრი გეგმები, ბრიგადული სამეურნეო ანგარიში, უგანწესო რგოლები, მომიჯნავეთა შეჯიბრება ერთიანი ტექნოლოგიური ჯაჭვით, მოძრაობა „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით“ და სხვა. ისინი მაღალეფექტიანია ეკონომიკურად, ამასთან არსებითად გარდაქმნის შრომითს ურთიერთობას, აღგზიძრავს სურვილს დავამსხვრიოთ მეურნეობრიობის გამოუსადეგარი, ძრომოჭმული მეთოდები. აი იმ იდეების და ქცევის მოტივების ნამდვილი სიდიადე, რომლებსაც საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი სარგებლიანობის მოსაზრებანი!

ახლა უპირველეს როლს ასრულებს ადამიანთა პოლიტიკური კულტურის დონე. ვ. ი. ლენინმა პარტიას უანდერძა — სახელმწიფოს, წარმოების, საზოგადოების მართვას აზიაროს თავდაპირველად უმრავლესობა, შემდეგ კი უკლებლივ ყველა მოქალაქე. ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებასთან ერთად ასეთი ხაზი კანონმდებლობის წესით არის დამკვიდრებული, როგორც სოციალისტური დემოკრატიის განვითარების მთავარი მიმართულება. ყოველი დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ამოცანა, ყოველი დიდი პოლიტიკური ღონისძიება უნდა იყოს ჩვენი მიღწევების დათვალიერება, აგრეთვე მასობრივ-პოლიტიკური კულტურის სკოლა.

საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში დიდია მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების, ლიტერატურისა და ხელოვნების პასუხისმგებლობა. მიმართავენ რა უშუალოდ ადამიანთა გონებასა და გრძნობას, ისინი, როგორც ერთხელ კიდევ შეგვახსენა პარტიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე, უნდა იყვნენ დროის მოთხოვნების სიმაღლეზე, შეესაბამებოდნენ მასების გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებებს. ეს კი ნიშნავს — უნარიანად და მკაფიოდ აშუქებდნენ მომწიფებულ ცხოვრებისეულ პრობლემებს, ამდიდრებდნენ მკითხველებს, მსმენელებს, მაყურებლებს, ახალი ცოდნით, წარსულის გამოცდილებისა და იმ ამოცანების სწორი გააზრებით, რომლებსაც ჩვენი საზოგადოება წყვეტს.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდა რთული და ხანგრძლივი პროცესია, იგი, კერძოდ, მოითხოვს ეფექტიან ბრძოლას უარყოფითი მოვლენების, ადამიანთა შეგნებაში და ქცევაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ. კერძოსკუთრული გადმონაშთების, დატაცებების, ხულიგნობის, ლოთობის, ბიუროკრატიზმისა და ადამიანისადმი გულგრილობის სრული დაძლევის ამოცანა მოითხოვს, რომ პარტიულმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, შრომითმა კოლექტივებმა, სახელმწიფო ორგანოებმა გააერთიანონ მეცადინეობა.

საბჭოთა ხალხის ნაყოფიერი შრომა ხუთწლედის მეოთხე წელს პარტიის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შექმნილი ჯანსაღი იდეურ-ზნეობრივი ატმოსფერო ხელს უწყობს ჩვენი ადამიანების სულიერ სრულყოფას. მასების შეგნებისა და ორგანიზებულობის შემდგომ ამაღლებას ხმარდება პარტიული ორგანიზაციების მიზანდასახული მეცადინეობა, სახელმწიფოს თანამიმდევრული ზრუნვა, რომ გაუმჯობესდეს მშრომელთა მიერ თავისუფალი დროის გამოყენება პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ინტერესებისათვის, კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების სულიერი პოტენციალის ზრდისათვის.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲣᲓᲒᲐᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲢᲘ ᲐᲗᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲮᲝᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის ცხოვრების ბოლოდროინდელმა პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მოღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისა და კონტროლის სისტემატურობა და საჯაროობა კეთილნაყოფიერად მოქმედებს სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაზე.

შესრულების შემოწმებისა და კონტროლის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს თვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ყოველკვარტალურად აჯამებს გაწეული მუშაობის შედეგებს და სახავს კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას.

დღეიდან გაზეთი „კომუნისტი“ ყოველთვიურად გამოაქვეყნებს ეკონომიკურ მიმოხილვებს, რომელთა შედგენაში რედაქციას კონსულტაციასა და დახმარებას გაუწევენ თვალსაჩინო სპეციალისტები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ ● ᲙᲕᲐᲠᲢᲚᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲔ

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ

რეზერვები — ხუთწლედის სამსახურში

პარტიულ-სამეურნეო აქტივის ამასწინანდელი რესპუბლიკური კრება შრომის ჭეშმარიტ დღესასწაულად გადაიქცა. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ზედიზედ ექვსჯერ გამარჯვება მრავალმხრივ არის საამაყო. ამასთან, ეს ჯილდო პასუხისმგებლობის გრძნობასაც უნდა გვიასკეცებდეს, მიღწეულთ ტკბობას, თვითდამშვიდებას არ უნდა მივეცეთ.

შრომითი გამარჯვებების ესტაფეტა მიმდინარე წელს იმ რეზინითა და იმ იმედით გადმოეცა, რომ კვლავაც საქმით ვუპასუხოთ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მოთხოვნებს, წარმატებით განვაგრძოთ საქართველოს სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შესრულება, უფრო გავზარდოთ ჩვენი წვლილი საკავშირო ეკონომიკაში.

წლეულს ჩვენი სახალხო მეურნეობის, კერძოდ კი ინდუსტრიის მუშაკებს მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტა მოუხდებათ. საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სახელზე გაგზავნილ წერილში საგანგებოდ გამოკვეთეს 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებების ზოგიერთი პუნქტი. მათ შორის მოხსენიებულია: სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდება 7,2 პროცენტით; შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით პროდუქციის მატების სულ ცოტა 82 პროცენტის მიღება. უნდა ისიც გავითვალისწინოთ, რომ წლის ბოლოსათვის რესპუბლიკის მრეწველობაში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა 15 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს, ესე იგი რაოდენობრივი ზრდას უნდა ახლდეს ხარისხობრივი სრულყოფაც, რაც ინტენსიური ფაქტორების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების შედეგად გახდება შესაძლებელი, მათს მიღწევას კი მხოლოდ მაღალორგანიზებული შრომით უზრუნველყოფთ.

დღითიდღე ძალას იკრებს სამეურნეო წელი. წლის პირველი თვეების შედეგები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს შემდგომ წარმატებებს. ერთხელ თუ ამოვარდი შრომის რიტმიდან, უხეირო სტარტი თუ აიღე, მერე დაშვებული შეცდომების გამოსწორებას უნდები, ინერტულობას „ეერიშობანა“ შეენაცვლება, „ეერიშობანა“ და ხარისხი კი ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია.

როგორია წლის პირველი ორი თვის შედეგები ერეწველობაში? ეიანვარ-თებერვალში წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა წარმატებით შესრულდა, საშუალო-რესპუბლიკურთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მსუბუქი, კვების, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებიდან: საწარმოო გაერთიანება „საქნავთობი“ (125,9 პროცენტი), „საქპოლიმერკონტეინერი“ (122,7), თბილისის „ელექტროხელსაწყო“ (117,7), „სოხუმხელსაწყო“ (117,9) და სხვ.

მაგრამ შარშანდელი, საერთოდ, ხუთწლედის პირველი სამწლეულის ფონზე, იმ დიდ გარდაქმნათა ფონზე, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში მოხდა უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე და რამაც ექვსგზის მოგვიტანა გამარჯვება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, — მიმდინარე წლის ორი თვის შედეგებით თავმოსაწონი ბევრი როდი გვაქვს.

წლის პირველ თვეებში დაშვებულ გარღვევებზე, საგეგმო, საწარმოო და შრომის დისციპლინის დარღვევებზე ყურადღება თუ ამთავითვე არ გავამახვილეთ და სათანადო დასკვნები არ გამოვიტანეთ, შეიძლება ეს ტენდენცია კვლავაც გაგრძელდეს და საფრთხე შეექმნას საგეგმო დავალებათა, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

მივმართოთ ფაქტებს.

შარშან ორი თვის მანძილზე ინდუსტრიის მუშაკებს გამოშვებული ჰქონდათ 15 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია, წელს კი მხოლოდ 6 მილიონამდე.

შარშან პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8,3 პროცენტით, წელს — 4,1;

საგულისხმოა, რომ შარშანდელი წლის ორ თვესთან შედარებით წარმოების დონე შეამცირა რესპუბლიკის 234 საწარმომ (საწარმოთა საერთო რიცხვის 27,2 პროცენტი), მათ შარშანდელთან შედარებით 45,5 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია გამოუშვეს. ამ საწარმოებს რომ წარმოების შარშანდელი დონე შეენარჩუნებინათ, წარმოების მატება ორ თვეში 6 პროცენტს კი არა, 10 პროცენტს გადაამეტებდა.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე საგანგებო ყურადღება დაეთმო სამეურნეო ხელშეკრულებათა შესაბამისად პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულებას. იმ 725 საწარმოდან, რომელთა მუშაობის შედეგები ამ მაჩვენებლით ფასდება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ორი თვის მანძილზე დაარღვია 145 საწარმომ (საწარმოთა 20 პროცენტი), მათ შორის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა 81,3 პროცენტმა, მსუბუქი მრეწველობისამ — 28,3, ადგილობრივი მრეწველობისამ — 23,2, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების 44,2 პროცენტმა.

ორი თვის მონაცემებით თუმცა შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით მოღებული პროდუქციის ნამატი იანვართან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა (მიაღწია 80 პროცენტს), მაინც ვერ გაუტოლდა ვალდებულებით გათვალისწინებულს (82 პროცენტი).

იანვარ-თებერვალში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი შეამცირა 220 საწარმომ (საწარმოთა 27,5 პროცენტი). ამ დროისათვის სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ზეგეგმითი რიცხვი შეადგენდა 1926-ს. მარტო ამ ფაქტორმა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი 0,8 პროცენტით შეამცირა.

ახლა ჩამორჩენილ საწარმოთა შესახებ. შარშან, ორი თვის მანძილზე წარმოების გეგმა ვერ შეასრულა 29 საწარმომ, წელს იანვარში 39, ორი თვის მონაცემებით კი 43 საწარმომ. იმ საწარმოების რიცხვი, რომლებმაც რეალიზაციის ორი თვის გეგმა ვერ შეასრულეს, შესაბამისად 40-დან 60-მდე გაიზარდა. ორჯერ და მეტად გაიზარდა ჩამორჩენილ საწარმოთა მიერ მიყენებული ზარალიც.

წარმოების საგეგმო დავალებათა შესრულებას ორ თვეში მილიონ მანეთზე მეტი დააკლეს

ᲐᲡᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ

	1978 წლის იანვარ-თებერვალი	1979 წლის იანვარი	1979 წლის იანვარ-თებერვალი
პროდუქციის წარმოების			
გეგმა ვერ შეასრულა	29	39	43
ხვედრითი წონა პროცენტობით	3,5	4,6	5,0
დაკლო (ათასი მან.)	6896	7759	14437
პროდუქციის რეალიზაციის			
გეგმა ვერ შეასრულა	40	50	60
ხვედრითი წონა პროცენტობით	4,8	5,9	7,0
დაკლო (ათასი მან.)	7429	8142	17382

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ ● ᲙᲕᲐᲠᲢᲚᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲔ

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ მეოთხე ნაკვეთი კრებულისა „სკკპ XXV ყრილობა: თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა“. იგი შედგება სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი მოღვაწეების სტატიებისა და გამოსვლებისაგან, რომლებიც 1978 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნდა. ამ მასალებში ასახულია კომუნისტური პარტიის თეორიული და პრაქტიკული მუშაობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ გამოშვებული კრებული დაიბეჭდა სტამბაში „კრასნი პროლეტარი“. (საკდუსი).

სოციალური უზრუნველყოფა გარანტირებულია კონსტიტუციით

ადამიანზე ზრუნვა ჩვენი ცხოვრების კანონია

ჩვენი ინტერვიუ

„კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს კ. გარდაფხაძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

კორესპონდენტი: როგორია სოციალური უზრუნველყოფის როლი მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებაში?

მინისტრი: სოციალური უზრუნველყოფის საბჭოთა სისტემა, რომელსაც ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული სოციალური დაზღვევის პრინციპები უდევს საფუძვლად, უდიდეს როლს ასრულებს მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში. იგი ჩვენი ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების ვრცელი პროგრამის შემადგენელი ნაწილია და თავისი ძნიშნელობით, ხელფასის შემდეგ, მოსახლეობის შემოსავლის მეორე უდიდესი წყაროა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ მშრომელთა სოციალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტებიდან რამდენიმე სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს ეხება. ვ. ი. ლენინმა 1917 წლის ნოემბრიდან 1922 წლამდე პირადად გაუკეთა რედაქცია და ხელი მოაწერა ასზე მეტ დოკუმენტს მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა გრანდიოზულმა სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა განაპირობა მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და მათი ოჯახების წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაფართოება და სრულყოფა.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო ყოველწლიურად იღებს ახალ საკანონმდებლო აქტებს ხანდაზმულთა და ინვალიდთა მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად. ყოველივე ეს მკაფიოდ აისახა ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონში — სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომლის 35-ე, 43-ე და 53-ე მუხლებში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება სიბერეში, ავადმყოფობის, შრომისუნარიანობის მოლიანად ან ნაწილობრივი დაკარგვის, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში, დაწესებულია მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის სრულყოფილი პირობების შესაქმნელად ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები და შეღავათები.

კონსტიტუცია არა მარტო აღიარებს მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის უფლებას, ასამედ, რაც მთავარია, აკანონებს, რომ მის პრაქტიკულ განხორციელებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევა, სხვადასხვა სახის პენსიები და დახმარებები, რომლებიც გაიცემა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ხარჯზე. არც ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს კონსტიტუცია არ იძლევა მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის ასეთ გარანტიას.

კორესპონდენტი: როგორია სოციალური უზრუნველყოფის საბჭოთა სისტემის ძირითადი თავისებურებები?

მინისტრი: ჯერ ერთი, სოციალური უზრუნველყოფის საბჭოთა სისტემა ვრცელდება როგორც მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებზე, ისე მათი ოჯახების წევრებზე.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა კაპიტალისტურ სამყაროში?

1977 წლისათვის, მაგალითად, • მსოფლიოს 150 სახელმწიფოდან 36-ში შემოღებული არ იყო საპენსიო უზრუნველყოფა, ხოლო 21-ში კი სოციალური უზრუნველყოფის არც ერთი სახეობა არ იყო დაწესებული. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი სხვადასხვა შეზღუდვების გამო პენსიებს მოკლებულია მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

მეორე, სოციალური უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების ხარჯზე, მშრომელთა ყოველგვარი შენატანების გარეშე.

სსრ კავშირის ბიუჯეტით სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევისათვის შარშან გამოყოფილი იყო 39 მილიარდამდე მანეთი, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში — 637 მილიონ მანეთზე მეტი.

ამ თანხაში, გარდა პენსიებისა და დახმარებებისა, შედის საგზურების და მანქანების ღირებულება, რომლებსაც სამამულო ომის ინვალიდთა გარკვეული ნაწილი უფასოდ ღებულობს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში კი პენსიებისა, და დახმარებების მისაღებად მშრომელებს მნიშვნელოვან თანხებს უკავებენ სადაზღვევო შენატანების სახით. 1978 წლისათვის მათი ოდენობა შეადგენდა: ამერიკის შეერთებულ შტატებში — ხელფასის 7,35 პროცენტს, საფრანგეთში — 8,39, იაპონიაში — 8,85, ბელგიაში — 10,1, თურქეთში — 12,0, ავსტრიაში — 12,9, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 17,0, ჰოლანდიაში — 21,55 პროცენტს.

ამავე დროს აუცილებელი პირობაა არა მარტო შრომის, არამედ დაზღვევის სტაჟიც. მაგალითად, ასაკობრივი მთლიანი პენსიის მისაღებად იტალიაში პენსიის მიმღებს უნდა ჰქონდეს სადაზღვევო შენატანების გადახდის 40 წლის სტაჟი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 50 წელი, ინგლისში კი 52 წელი.

ამრიგად, კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალური უზრუნველყოფა ძირითადად თვით მშრომელთა ხარჯზე ხორციელდება და საბოლოო ანგარიშით მათ აწვებათ მხრებზე, ხოლო სახელმწიფოსა და კერძო მესაკუთრეთა მონაწილეობა ამ დარგში მეტად უმნიშვნელოა.

მესამე, პენსიის ოდენობის დიფერენცირებული განსაზღვრა საზოგადოების წევრთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა ოდენობის, ხარისხისა და შრომის პირობების შესაბამისად. პენსიის ოდენობის დადგენისას გარკვეული უპირატესობა ეძლევათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც უფრო მეტს, უკეთ და შრომის მძიმე პირობებში მუშაობდნენ.

მეოთხე, სოციალური უზრუნველყოფა ყველა აუცილებელ შემთხვევაში — ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის დროს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დროებითი შრომისუუნარობის დროს დახმარებები შემოღებული არ არის 78 ქვეყანაში, ხოლო შეერთებული შტატების 52 შტატიდან მხოლოდ 6-ში იძლევიან ასეთ დახმარებას.

მეხუთე, სოციალური უზრუნველყოფის მაღალი დონე ხელფასთან შედარებით. მაგალითად, ასაკობრივი პენსია ინიშნება საშუალო-თვიური ხელფასის (გამომუშავების) 50-დან 100 პროცენტამდე. ამასთან რაც უფრო დაბალია ხელფასი, მით უფრო მაღალია პენსიის განსაზღვრის კოეფიციენტი და ცალკეულ შემთხვევაში პენსია შეიძლება გამომუშავებაზე მეტიც კი იყოს.

მეექვსე, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისა და მომსახურების მრავალფეროვნება, რაც პენსიებისა და დახმარებების მრავალფეროვნებით, ინვალიდთა სოციალურ-ბიოლოგიური რეაბილიტაციით, შრომისუუნაროთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით, სახელმწიფო ხარჯზე სახლ-ინტერნატებში მოხუცთა და ინვალიდთა მოვლა-პატრონობით, უფასო საპროთეზო-ორთოპედიული დახმარებით გამოიხატება და სხვ.

სულ სხვა სურათს ვხედავთ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგალითად: 85 ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, საერთოდ არ არის შემოღებული საოჯახო დახმარებები, ხოლო 21 ქვეყანაში მშრომელებს საერთოდ არ აძლევენ კომპენსაციას შრომითი დასახიჩრებისა და პროფდაავადების დროს.

მეშვიდე, სოციალური უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ფართო დემოკრატიულ საწყისებზე. პროფორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან პენსიების დამნიშნავი კომისიების და საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების შემადგენლობაში, პროფორგანიზაციები ახორციელებენ საპენსიო უზრუნველყოფისა და პენსიონერთა მომსახურებისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენების საზოგადოებრივ კონტროლს და საწარმო-დაწესებულებების ადმინისტრაციასთან ერთად წარადგენენ მშრომელებს პენსიის დასანიშნად.

ამრიგად, სოციალური უზრუნველყოფისა და მომსახურების საბჭოთა სისტემა ეფუძნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

კორესპონდენტი: როგორ არიან პენსიონერები და ინვალიდები საზოგადოებრივ შრომაში დასაქმებული?

მინისტრი: კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ პენსიონერებისა და ინვალიდების შრომითი მოწყობისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათი მონაწილეობისათვის. საკმარისია ითქვას, რომ მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამ საკითხთან დაკავშირებით ორჯერ მიიღო სპეციალური დადგენილება. ამ პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ XXV ყრილობაზე.

რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მომუშავე პენსიონერთა და ინვალიდთა რაოდენობა 16 პროცენტით გაიზარდა.

ამჟამად სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულია 176 ათასზე მეტი ასაკით პენსიონერი და ინვალიდი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომითს საქმიანობაში სადღეისოდ არ მონაწილეობს III ჯგუფის ინვალიდთა 36 პროცენტზე მეტი.

რა არის ამის მიზეზი? ადგილობრივი მრეწველობის და სხვა სამრეწველო სამინისტროების საწარმოებში, მაგალითად, ჯერ კიდევ სუსტი ყურადღება ეთმობა სპეციალიზებული საამქროებისა და უბნების შექმნას, სადაც იმუშავებდნენ შრომისუნარდაქვეითებული ადამიანები.

სოციალური უზრუნველყოფის ბევრი საქალაქო და რაიონული განყოფილება ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს დროებით უმუშევარ პენსიონერთა აღრიცხვას და ეფექტიან ღონისძიებებს არ მიმართავს მათი დასაქმებისათვის.

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებმა ამ მიმართულებით ძირფესვიანად უნდა გარდაქმნან მუშაობა, გაიფართოონ და განამტკიცონ საწარმო-დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან კონტაქტი.

კორესპონდენტი: რა სიახლენია მოსალოდნელი უახლოეს პერიოდში და რა ამოცანები დგას ამჟამად სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების წინაშე?

მინისტრი: ბუნებრივია, რომ სოციალური უზრუნველყოფა, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, სისტემატურად ვითარდება, უფრო სრულყოფილი ხდება. საპენსიო კანონმდებლობა, მაგალითად, ვითარდება ძირითადად ორი მიმართულებით. ერთი მხრივ, საპენსიო უფლება ენიჭებათ იმ კატეგორიის მოქალაქეებს, რომლებიც წინათ ამ უფლებით არ სარგებლობდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, მშრომელთა გარკვეული ნაწილისათვის დგინდება საპენსიო უზრუნველყოფის უფრო მაღალი დონე და შეღავათიანი პირობები.

პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეათე ხუთწლედში დასახულია სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ვრცელი პროგრამა, რომელიც გეგმაზომიერად ხორციელდება.

1976-1977 წლებში პენსიის მაქსიმალური ოდენობა 120 მანეთიდან 140-160 მანეთამდე გაიზარდათ, მაგალითად, ქვანახშირის, ფიქლის, მეტალურგიული მრეწველობის სხვადასხვა კატეგორიის მუშაკებს. 1978 წლის 1 იანვრიდან პენსიები მთლიანი ნორმით — 15 პროცენტის შეუმცირებლად ენიშნება სოფლად მცხოვრებ ბევრ პენსიონერს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის იანვლის პლენუმის დადგენილების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელსაც ძალა მიეცემა მომავალი წლის 1 იანვრიდან. კანონით გათვალისწინებულია კოლმეურნეთა ასაკობრივი, ინვალიდობისა და მარჩენლის დაკარგვის გამო მინიმალური პენსიების 40 პროცენტით გადიდება; I ჯგუფის კოლმეურნე ინვალიდის პენსიაზე მომავლიის დანამატის დარიცხვა და ეგრეთ წოდებული შერეული სტაჟით პენსიების დანიშვნა. აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, წინასწარი მონაცემებით, მარტო ჩვენს რესპუბლიკაში პენსიები მოემატება სულ ცოტა 160 ათას მოქალაქეს, რომლებიც დამატებით, ერთ წელზე გაანგარიშებით, 15 მილიონ მანეთზე მეტს მიიღებენ.

უკანასკნელ ხანს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური ხელმძღვანელობით და დახმარებით გაუმჯობესდა რესპუბლიკაში პენსიონერთა და ინვალიდთა სოციალური მომსახურება, შემცირდა შეცდომები პენსიების ოდენობის განსაზღვრისას, გაუმჯობესდა პირველადი ინვალიდობისა და ინვალიდთა რეაბილიტაციის მაჩვენებლები, გაფართოვდა სამკურნალო-სანატორიული მომსახურება და საპენსიო კანონმდებლობის პროპაგანდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობაში არ იყოს ნაკლოვანებები. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა თავის გამოსვლაში თბილისის ლენინის სახელობის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებაზე, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობა შემდგომ სრულყოფას და გაუმჯობესებას საჭიროებს.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა კიდევ უფრო სრულყოთ შრომისა და ომის ვეტერანთა სოციალური მომსახურება, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მუშაობაში.

ხალხის კეთილდღეობა უმაღლესი მიზანია

საუბარი საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრთან კ. გარდაფხაძესთან

ᲐᲠᲑᲝᲨᲘᲙᲔᲚᲗᲐ „ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲐ“

თაოსნობა ხორცს ისხამს

ცოცხლობს და მოქმედებს დევიზი — „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“. დღესაც ამ დევიზით მოქმედებენ წითელწყაროს რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, კოლმეურნეობათა გამგებები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. ცოტა ღონისძიებას რიდი ატარებენ ისინი ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად, სამამულო ომის ინვალიდთა, შინმოუსვლელთა ოჯახების დასახმარებლად. რაიონში აღრიცხვაზეა ომში დაღუპულთა 188 ოჯახი.

სოფელ არბოშიკიდან სამამულო ომში 800-მდე კაცი წავიდა, რომელთაგან 378 დაღუპა. ფრონტებზე გმირულად დაეცნენ ძმები კოტე, რამან და ალექსი ბაღაშვილები, ნიკო და რამან ალადაშვილები, ვარდო და შალვა ბაცაკაშვილები, აბრამ და ელიზბარ დათუკიშვილები, მამა-შვილი ნიკო და ფორე ალადაშვილები.

თანასოფლელებმა მახლობელ გორაზე, რომელსაც არბოშიკელთა „მთაწმინდა“ ეძახიან, აღმართეს ობელისკი წარწერით — „შინმოუსვლელთა დიდების მუზეუმი“. ამავე სოფლის საშუალო სკოლაში გამოდის კედლის გაზეთი „ღიმილის ბიჭები“, „შინმოუსვლელთა დიდების მუზეუმში“ ყოველ 29 ოქტომბერს ეწყობა სპეციალური გაკვეთილი, სადაც მოსწავლეებს ესაუბრებიან ომგადახდილთა საბრძოლო და შრომითს ბიოგრაფიაზე, ომში დაღუპულთა გმირობასა და მამაცობაზე. ამ საქმეში აქტიურობენ ბ. სეხნიაშვილი, ა. ლამაზოშვილი, ნ. ბაღაშვილი, ზ. ჯამალაშვილი და მ. ლამაზოშვილი. სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებზე საუბრებს აწყობენ ყოფილი ფრონტელები მ. ალადაშვილი, ვ. სეხნიაშვილი, ი. აბობაძე, მასწავლებლები ს. ჯანაშვილი და ჯ. მარტყოფლიშვილი.

არბოშიკის კოლმეურნეობის გამგეობამ სპეციალურად განიხილა საკითხი — „სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ“. დასახულ ღონისძიებათა შედეგად 1977 წელს სამამულო ომის 5 ინვალიდს და ომში დაღუპულთა 7 ოჯახს თითოეულს 200 კილოგრამი ხორბალი და ფულად 60 მანეთი მისცეს. ასეთივე სახის დახმარება შარშან გაეწია სამამულო ომის 12 ინვალიდს და ომში დაღუპულთა 33 ოჯახს. შინმოუსვლელთა მოხუც დედებს მ. დათუკიშვილსა და ა. სეხნიაშვილს მოსწავლე კომკავშირელები ეხმარებიან საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებაში, უსუფთავებენ კარ-მიდამოს, უპობენ შეშას, მაღაზიიდან უზიდავენ პროდუქტებს.

არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ეს თაოსნობა მოიწონა რაიასბჭოს აღმასკომმა და რაიონში გაავრცელა. ამის შედეგად ომის 45 ინვალიდსა და ფრონტზე დაღუპულთა 107 ოჯახს დახმარების სახით მიეცა 20.520 კილოგრამი ხორბალი, 1.020 კილოგრამი ხახვი, 680 კილოგრამი ლობიო, 150 კილოგრამი ზეთი, 41 კილოგრამი თაფლი და 4.850 მანეთი ფულად.

წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში როგორც ომის ინვალიდებისათვის, ისე ომში დაღუპულთა ოჯახების, საკოლმეურნეო პენსიონერებისათვის (226 კაცი) გასცეს 33.900 კილოგრამი ხორბალი, ხოლო ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ომის 7 ინვალიდისა და ომში დაღუპულთა 11 ოჯახისათვის დახმარების სახით თითოეულზე გასცეს 230 კილოგრამი ხორბალი და 50 მანეთი ფულად.

ამ ღონისძიებათა დანერგვას ხელი შეუწყო საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კოლეგიის შარშანდელმა გადაწყვეტილებამ და წითელწყაროს სახალხო დეპუტატთა რაიასბჭოს აღმასკომის დადგენილებამ. მარტო 1977 წელს რაიონის მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფას მოხმარდა 3.448.540 მანეთი, აქედან სოფელ არბოშიკის ყველა სახის პენსიისა და დახმარების მიმღებ 704 კაცს სოციალური უზრუნველყოფის სახით მოხმარდა 372.000 მანეთი.

სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებისა და ომის ინვალიდებისათვის დახმარების გაწევა და ყურადღება ერთი დღითაც არ წყდება. ხალხის ზრუნვით გარემოსილი ომის ინვალიდები და ომში დაღუპულთა ოჯახები მადლობას გამოთქვამენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

ა. ᲑᲘᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
წითელწყაროს რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲭᲐᲑᲣᲙᲔ

უშრომლად კაცს რა გააძლებინებს?

ხანდაზმული მუშაკი ვარ. პატიოსანი შრომით ბედნიერი ცხოვრება რომ მოვიპოვე, ახლა მინდა თვალი გადავავლო წარსულს. ლენინის რაიონის მკვიდრი ვარ, აქ დავიწყე შრომითი ცხოვრება. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩვეული რომ მივიღე, პირველ საბჭოთა ხუთწლედებში ჯერ დამკვრელი გავხდი, შემდეგ კი სტახანოველი.

შემართება და შრომითი ენთუზიაზმი ხანდაზმულობაშიც გამოშვავა, თითქოს მეორე სიჭაბუკეს განვიცდი. ეს სიშუალეს მაძლევს კვლავ ვიდგე სამუშაო უბანზე, სხვებთან ერთად ვეჯიდო მშობლიური ქარხნის წარმატება.

და მაინც წლებმა თავისი ქნა, საპენსიო გავხდი. საკუთარ თავს ვეკითხებოდი— კონსტანტინე, ძველო მეჯიდელო, ნუთუ შეგიძლია უშრომლად გაძლო? შინაგანმა ხმამ მომიწოდა — მეორა, რომ პენსია გაქვს, უფლება გეძლევა დაისვენო, უშრომლად ცხოვრებას კი ვერ შეძლებ, ბედნიერება და ჭეშმარიტი სიხარული შრომაშია. ამ მოწოდებამ ისევ ჩემს შრომის უბანზე მიმიყვანა. დიახ, მე, პენსიონერი კვლავ შრომაში ჩავები.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი წარმატებით ახორციელებს სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებს, მეათე ხუთწლედის დავალებებს. ქარხნის მშრომელები ერთ-ერთი პირველები ჩაებნენ დისციპლინის განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში. სიამაყით ვამბობ, რომ ნაკისრი ვალდებულებანი პირნათლად სრულდება.

გაახალგაზრდავდა ჩვენი უძველესი საწარმო, მთავრდება ქარხნის -რეკონსტრუქცია, ოდნავადაც არ შეფერხებულა რიტმული მუშაობა. უკანასკნელი წლების მანძილზე წარმატებით სრულდება გეგმები, სოციალისტური ვალდებულებები. შარშან ჩვენმა კოლექტივმა შეძლო 326 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, წარმატებით შესრულდა ნომენკლატურის დავალებაც.

ჩვენ, ძველი და ახალი თაობის მუშები აღფრთოვანებული ვართ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით. მზად ვართ განვახორციელოთ ის ამოცანები და პრობლემები, რომლებიც პლენუმზე თავის გამოსვლაში ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

კ. ᲘᲚᲣᲠᲘᲫᲘ,
თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ვეტერანი მეჯიდელი, სოციალისტური შრომის გმირი.

...როგორ გავატარებინოთ ტკბილად სიბერე მოხუცებულს? როგორ შევუმსუბუქოთ ხვედრი ინვალიდს? როგორ გავუჭარწყლოთ კაცს ნამდვილი თუ უსაფუძვლო წყენა? ცხოვრება ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვიყენებს ამგვარ საკითხებს და მათი გადაწყვეტა შეგვიძლია მხოლოდ იმ გზით, თუ ნიადაგ სრულვყოფთ ადამიანებისადმი სათუთი დამოკიდებულების დიდ ხელოვნებას“.

ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ

ᲒᲣᲚᲘᲡ-ᲮᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ

ერთი სამუშაო დღე

ᲩᲕᲘᲜᲣᲚᲘ ათი ათასამდე პენსიონერი ცხოვრობს. აქაური სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მუშაკებს მეტად საპატიო მოვალეობა აკისრიათ— გულისხმიერად მოემსახურონ ამ ადამიანებს, რომლებმაც მთელი ძალ-ღონე სამშობლოსათვის ბრძოლასა და შრომას შეალიეს.

ჩვენი საქმიანობა მრავალფეროვანია, იგი სოციალური უზრუნველყოფის ბევრ საკითხს მოიცავს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია პენსიებზე მუშაობა. აი, თუნდაც, მარტო ერთ დღეს განყოფილებამ პენსიების დანიშვნაზე 30 განცხადება მიიღო, აქედან ნახევარი შატბში მომუშავე ვეტერანებს ეკუთვნის.

პენსიონერთა რიცხვი დღითი დღე მატულობს, იზრდება სახელმწიფოს მიერ მათთვის გამოყოფილი სახსრების რაოდენობაც. ტყიბულში ამ მიზნით წელიწადში 5.760 ათას მანეთზე მეტი იხარჯება. პენსიონერებისა და ინვალიდებისათვის განყოფილების კარი მუდამ ღია გვაქვს, ყოველმხრივ ვცდილობთ თითოეულ მათგანს უკეთ მოვემსახუროთ. ომის შავალიდმა ე. ბრეგვაძემ განცხადება შემოიტანა — „ავტომანქანა „ზაპოროეცის“ სარგებლობის ვადა გაუვიდა, დამეხმარეთ, ჩამოწერეთ და ახალი მოშეცითო. საკითხის გადასაწყვეტად ყველაფერი ოპერატიულად გაკეთდა.

მოქალაქეებს ხშირად აინტერესებთ ისეთი საკითხები, რომლებიც პენსიების დანიშვნასთან არის დაკავშირებული. გალინა ვეშლაძეს აინტერესებდა, თუ რა საბუთები იყო საჭირო პენსიის გასაფორმებლად, შრომის სტაჟის აღსადგენად და სხვ. მთხოვნელს დახმარება გავუწიეთ, განყოფილებაში ყველაფერი დაწერილებთან ავუხსენით; ქალაქის მუსიკალური სკოლის დირექტორმა გვთხოვა განგვემარტა მისთვის, როგორ გადაუხადოს პენსია მომუშავე პენსიონერ პედაგოგს ს. ვაშაკიძეს. პასუხი სკოლის ადმინისტრაციასაც გავუგზავნეთ და პენსიონერსაც.

სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის ზრუნვა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ღვიძილი საქმეა. საჭირის, სოჩხეთის, გურნის, ჯვარისს სასოფლო საბჭოები ფრონტელთა ათობით ოჯახს დაეხმარნენ საშენი მასალის შეძენაში.

განყოფილების ყოველდღიური საქმიანობა მრავალმხრივია. ჩვენ ვცდილობთ მთხოვნელები მუდამ კმაყოფილი გვყავდეს და საქმე ოპერატიულად წყდებოდეს.

გ. ᲠᲝᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ქ. ტყიბულის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲐᲢᲘ „ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ რაიონის სოფელ ვეჯინში ამას წინათ გაიხსნა სამამულო ომისა და შრომის ვეტერანთა პანსიონატი „კახეთი“, ალაზნის ველს ზემოდან რომ დაჰყურებს.

თითქმის სამი თვის მანძილზე აქ 500-მდე ომისა და შრომის ვეტერანმა დაისვენა, იმკურნალა, გაიკაჟა ორგანიზმი.

— ახტალის ტალახით მკურნალობისათვის გამოყოფილია სპეციალური ავტობუსი, — გვითხრა პანსიონატის დირექტორმა, შრომის ვეტერანმა ვ. ზავრაშვილმა, — დამსვენებლის განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ერთ და ორსაწოლიანი ოთახები, ბიბლიოთეკა, კლუბი, რადიომიმღებები, ტელევიზორები, დასასვენებელი ოთახები, სასადილო დარბაზი.



სურათებზე: (ქვემოთ)—პანსიონატ „კახეთის“ ხედი; (ზემოთ) დასასვენებელი ოთახის ერთ-ერთი კუთხე.

გ. ᲒᲝᲒᲝᲬᲘᲐᲡ ფოტო.

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲐ

ᲞᲐᲞᲐ ᲕᲐᲜᲝ — **ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.**

ᲭᲐᲚᲐᲠᲐ ᲡᲘᲑᲔᲠᲔ ᲠᲝᲓᲘᲐ

სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭო მოქმედებს

საბჭოთა ქვეყანაში კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის დონის ამაღლებას თვალნათლივ ცხადყოფს თუნდაც ჩვენი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭიხაშკარის კოლმეურნეობის მაგალითი. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობაში ხუთასამდე კაცი იღებს პენსიას.

საპენსიო ასაკის ადამიანთა ცხოვრების საარსებო საკითხები კოლმეურნეობის სოციალური უზრუნველყოფის საბჭოს მეშვეობით წყდება.

საბჭო ხუთი კაცისაგან შედგება. წევრთა შორის არიან უხუცესი კოლმეურნე, კომუნისტი ბაგრატ ბენდელიანი, მოწინავე მეჩაი ეთერ ბენდელიანი და სხვები, რაც საბჭოს უფრო მეტ ავტორიტეტსა და კომპეტენტურობას ანიჭებს.

ჩვენი მთავარი საზრუნავია წარდგინებათა სრულყოფილი მომზადება პენსიების სწორად და დროულად დანიშვნის მიზნით. საპენსიო საქმის გაფორმება შრომატევადი სამუშაოა, მაგრამ ჩვენ უკვე მიეაღწიეთ იმას, რომ წინასწარ კარგად მომზადებულ განცხადებას საბჭო კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად 4-5 დღის განმავლობაში განიხილავს და რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას უგზავნის.

გულმოდგინედ ვამოწმეთ, რომ შრომის წიგნაკი სწორად და ყურადღებით იყოს შევსებული, რაც გვიადვილებს საპენსიო საბუთების გაფორმებას. საბჭოს აღრიცხული ჰყავს ყველა ის მშრომელი, რომლებსაც უახლოეს ორ წელიწადში საპენსიო ასაკი უსრულდებათ. მათ განუმარტავენ პენსიის გაფორმებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ეხმარებიან საჭირო საბუთების შეგროვებაგაფორმებაში.

შარშან პენსია დაენიშნა 35 კოლმეურნეს, ხოლო 120-ს პენსიები მოემატა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის პენსიტრთა საბჭოს 1977 წლის 14 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად.

ჩვენს პენსიონერთა შორის არიან ამაგდარი კოლმეურნეები, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას. ესენი არიან მეჩაიეები დ. კეკელია და თ. ზარანდია, მევენახეები გ. კეკელია და კ. შონია, მეცხოველეები ხ. ჩიხლაძე და ლ. ხარჩილავა. კოლმეურნეები თვალნათლივ ხედავენ, თუ როგორ ზრუნავენ მათთვის. 1980 წლის 1 იანვრიდან მოხუცებულობის მინიმალური პენსიები ყველა კოლმეურნეს მოემატება.

მაგრამ პენსიაზე გადავლა როდი ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ შრომაში აქტიურ მონაწილეობას გაექცე. ბევრი პენსიონერი, მათ შორის ინვალიდიც, ახლაც წარმატებით შრომობს საკოლმეურნეო წარმოების სხვადასხვა უბანზე. მათი რიცხვი ამჟამად ორასს აღემატება. გავაცანობთ ზოგიერთ მათგანს: ოლღა ხუბულავამ, რომელსაც 120 მანეთი პენსია დაენიშნეს, შარშან 7140 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც 3200 მანეთი ანაზღაურება და 933 მანეთი პრემია მიიღო; ზოია ზარანდიამ, რომელიც 97 მანეთ პენსიას იღებს, 4795 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და სამოლოო ანგარიშით 3 ათას მანეთზე მეტი გამოიმუშავა; ქვაჩა ბენდელიანმა 4258 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, 2 ათას მანეთ

შრომის ნაყოფიერება, ეს საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად.

ვ. ი. ლენინი.

უმნიშვნელოვანესი, უმთავრესი

საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დონის წარსულში დაშვებული ჩამორჩენის დასაძლევად მეათე ხუთწლედისათვის გათვალისწინებულია ამ მაჩვენებლის ზრდის უფრო სწრაფი ტემპი, რაზეც დიდად არის დამოკიდებული წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ხუთწლეულში იგი 33 პროცენტით უნდა გაიზარდოს.

საქართველოს სსრ შრომის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგობრივი ცენტრების მუშაკებთან ერთად 1978 წლის დამდეგს შეისწავლა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ამ მაჩვენებლის მიხედვით ხუთწლედის დავალებების შესასრულებლად მიმდინარე მუშაობის მდგომარეობა. შეამოწმეს მთელი რიგი სამინისტროები, რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების უწყებები, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოო გაერთიანებანი და სამრეწველო საწარმოები. შემოწმების შედეგად სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა დაწესებაში, ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გეგმების შესრულებაში. გამომეძღვანდა აგრეთვე წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სერიოზული ხარვეზები.

გასულ წელს რესპუბლიკის სამეურნეო და პარტიული ორგანოების მიერ ამ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეულმა მუშაობამ ბარკვეული დადებითი შედეგები მოიტანა. შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის მრეწველობაში ერთი წლის მანძილზე გაიზარდა 5,6 პროცენტით დავალებით დაწესებული 5,4 პროცენტის ნაცვლად. ამის შედეგად ხუთწლედის სამი წლის მანძილზე მრეწველობამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ზრდა 15,6 პროცენტით, ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 15 პროცენტის ნაცვლად.

მაგრამ ხუთწლედის დამლევამდე ამ დარგში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მიმდინარე წელს ხომ შრომის ნაყოფიერება 1978 წლთან შედარებით უნდა გაიზარდოს 105,5 პროცენტით. ხოლო სოციალისტურ ვალდებულებათა გათვალისწინებით — 105,6 პროცენტით, შესაბამისად 1980 წელს ზრდის ტემპმა უნდა შეადგინოს 109 პროცენტი.

ეს უწყება-სამინისტროების, გაერთიანებებისა და საწარმოებისაგან, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გამოიყენონ წარმოების მთელი რეზერვები, ყოველმხრივ განავითარონ მშრომელთა კოლექტივების შემოქმედებითი ინიციატივა.

და თუმცა რესპუბლიკის მრეწველობა 1978 წელს ქვეყანაში პირველ ადგილზე გავიდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მიხედვით, მთელ რიგ სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოებს ვერ მიეღწევიათ იმისათვის, რომ გამოასწორონ ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში წინა ორი წლის მანძილზე დაშვებული ჩამორჩენა. უფრო მეტიც, ეს სამინისტროები, უწყებები და საწარმოები კვლავ გეგმავენ შემცირებულ ტემპს, რითაც ზრდიან განსხვავებას ხუთწლიანი გეგმის დავალებასთან შედარებით. მაგალითად, საქართველოს სსრ ხეტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, რომელიც სამი წლის შედეგების მიხედვით 3,4 პროცენტით ჩამორჩება ხუთწლედის დავალებებს შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ, 1979 წლისათვის ამ მაჩვენებლის გადიდების გაუმართლებლად ნელი ტემპი დაგეგმა, რაც მის ჩამორჩენას 10,3 პუნქტამდე გაზრდის. 1979 წელს ზრდის დაბალი ტემპი დაიგეგმეს აგრეთვე ხორცისა და რძის მრეწველობის, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა, საწარმოო გაერთიანება „ელექტროხელსაწყომ". დიდად ჩამორჩება ხუთწლედის დავალებებს ჩარხსაშენებელი გაერთიანებაც. მხოლოდ რამდენადმე გამოასწორეს ხუთწლედის დავალებასთან შედარებით არსებული ჩამორჩენა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, „საქმთავარეწარგოს", საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერის" სისტემაში, ქარხანა „საქსოფლმანქანაში".

ეს მოწმობს, რომ აღნიშნულმა სამინისტროებმა, უწყებებმა და საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს მიზანდასახული სისტემატური მუშაობა თავიანთი ჩამორჩენის მიზეზების გამოსაღენად და აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად იმისა, რომ 1978 წელს რამდენადმე გაძლიერდა ყურადღება შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებისადმი, ყველგან როდი მიეღწევიათ საგრძნობი გარდატეხისათვის შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვისა და გავრცელების საქმეში, რაც დადებითს გავლენას მოახდენდა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. ეს გახლავთ შრეკონლელთა მეთოდი, ერთიანი განაწესით მუშაობა, შრომის ნაყოფიერების ზრდის პირადი და ბრიგადული გეგმები, პროფესიების შეთავსება და ა. შ. ამასთანავე შრეკონლელთა მუშაობის მეთოდის დანერგვის პირობებში, მაგალითად, გორის რძის კომბინატში 1979-1980 წლებში მუშაკთა გარკვეულ სამუშაოთაგან განთავისუფლების გზით შეუძლიათ უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების მატება დაახლოებით 17 პროცენტით დაეგმიერი 9 პროცენტის ნაცვლად. ცხინვალის ხორცკომბინატში ამ მეთოდის დანერგვა უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას 55 პროცენტით და მეტად, გეგმით გათვალისწინებული 13 პროცენტის ნაცვლად.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში დიდ ეფექტს გვაძლევს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადულ ფორმაზე გადასვლა. მაგალითად, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში მისი დანერგვის შედეგად ელექტროშტაბელერის კორპუსის დამამზადებელი კომპლექსური ბრიგადის ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება 25 პროცენტით გაიზარდა.

ზოგიერთ საწარმოში შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა შესრულებისას საკმაოდ ეფექტიანად არ იყენებენ მატერიალური და მორალური სტიმულირების პროგრესულ ფორმებს. ნაკლები ყურადღება ეთმობა აგრეთვე მატერიალურ წახალისებას გამომუშავების ნორმების გადასინჯვისა და ახალი, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვისას.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველა რეზერვის ამოქმედება განსაკუთრებით საჭიროა იმიტომაც, რომ ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შესრულების საქმეში მიმდინარე წლის დამდეგიდან არახელსაყარი მდგომარეობა შეიქმნა, ჩამორჩენაა წლიურ დავალებებთან შედარებით.

შრომის ნაყოფიერების ზრდის იანვრის გეგმის შესრულების მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩენენ საშენ მასალათა მრეწველობისა და დამზადების სამინისტროები, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის", საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები — „საქმთავარენერგო", ტრესტი „საქმიაროენერგომშენი", მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, საწარმოო გაერთიანებანი — „საქპოლიმერკონტეინერი", „ელექტროაპარატი", „ელექტროხელსაწყო", ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელი", თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანება, კალინინის სახელობის სამხმელო მოწყობილობის ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

შრომის ნაყოფიერების ზრდის იანვრის გეგმა არ შესრულებულა მთლიანად საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით. ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ორი თვის გეგმა [illegible] მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში. მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გეგმა არ შეუსრულებია 175 საწარმოს.

იანვარ-თებერვალში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს უკლო 220 საწარმომ, ანუ მათი საერთო რიცხვის 27,5 პროცენტმა. შრომის ნაყოფიერების დონე გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით ნაკლებია საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, მშენებლობის სამინისტროს ხაზით, აგრეთვე მთლიანად სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის საოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საწარმოებში.

ამასთანავე სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვმა მთლიანად რესპუბლიკაში საგეგმო მაჩვენებელს გადაამეტა. ამასთან დაკავშირებით შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მაჩვენებელი 0,5 პუნქტით შემცირდა. ამავე დროს მუშახელის ეკონომიური და ეფექტიანი გამოყენების საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ამაზეა დამოკიდებული შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარება და შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით პროდუქციის მატების მაჩვენებლის გაუმჯობესება. წინასწარი გაანგარიშებით, სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ზრდის ტემპი მიმდინარე წელს შეადგენს 101,3 პროცენტს, რაც წარმოების მოცულობის, 107,2 პროცენტით ზრდის პირობებში უზრუნველყოფს წარმოების მოცულობის [illegible] 82 პროცენტით მიღწევას. შრომის ნაყოფიერების ზრდის ეს [illegible] ეფექტიანობით არის გათვალისწინებული. ამიტომ საჭიროა, რომ თითოეული სამინისტრო, უწყება და საწარმო მკაცრად ადევნებდეს თვალს სწორ თანაფარდობას წარმოების მოცულობის ზრდასა და პერსონალის რაოდენობას შორის იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით წარმოების მოცულობის მატების დავალებათა შესრულება.

მიმდინარე წლის დარჩენილი პერიოდისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმის დაძაბულობა მოითხოვს, რომ სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების შესაბამისი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებმა და მუშაკებმა მთელი ძალ-ღონე მოახმარონ ყოველდღიური და მიზანდასახული მუშაობის განხორციელებას, რათა ფართოდ დაინერგოს ახალი ტექნიკა, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, დაიბეგროს წარმოების მართვა, ფართოდ გავრცელდეს შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდები. უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ შესაძლებლობების, აგრეთვე არსებული შიდასაწარმო რეზერვების გამოყენებით შეეძლებთ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დასახული მაჩვენებლების მიღწევას.

რ. ჯაფარიძე,
საქართველოს სსრ შრომის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.
(საქინფორმი).

---

18 მარტი საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა დღეა

დღეს ჩვენს ქვეყანაში საზეიმო და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღინიშნება საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა დღე. „კომუნისტის" რედაქციის კოლექტივი ყველა მკითხველის სახელით მხურვალედ ულოცავს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ზემოაღნიშნულ დარგებში მომუშავე თითოეულ მუშაკს ამ შესანიშნავ პროფესიულ დღესასწაულს და ახალ შრომითს გამარჯვებებს უსურვებს მათ.

რა ძირითადი საწარმოო და ეკონომიკური მაჩვენებლებით, ორგანიზაციულ-ტექნიკური ხიახლეებით აღინიშნა მეათე ხუთწლედის განვლილი პერიოდი?

როგორც ცნობილია, თბილისის საქალაქო XXXVII პარტიულ კონფერენციაზე, აგრეთვე ახლახან გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სერიოზული კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციათა მუშაობის მიმართ.

რა კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას აპირებთ უახლოეს პერიოდში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით?

ამ კითხვებით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა ზ. სამსონაძემ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრებს. აი, რა გვიპასუხეს მათ:

„კომუნისტის" ინტერვიუ

მომსახურება—სადღეისო დონეზე

ნ. ვაშაძე,
საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი.

კომუნალური სამსახურის მუშაკები თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით მნიშვნელოვან სოციალურ ამოცანას წყვეტენ — სრულყონ და გაუმჯობესონ რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების საბინაო და კომუნალური პირობები, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივ შრომაში ადამიანთა მონაწილეობის ეფექტიანობის ამაღლების საწინდარია.

როგორ ვასრულებთ ამ ამოცანას, რით შევეგებეთ ჩვენი პროფესიული დღესასწაულის დღეს? თუ ჩვენი მუშაობის უკანასკნელი სამი წლის შედეგებს გადავხედავთ, გარკვეული წარმატებებია მოპოვებული: სამინისტროს ძირითადმა დარგებმა შეასრულეს, ხოლო ზოგიერთ დარგებში გადაჭარბებითაც შესრულდა საწარმოო პროგრამა ყველა მაჩვენებლის მიხედვით, რომლებსაც გეგმა და სოციალისტური ვალდებულებები ითვალისწინებდა.

საბინაო მეურნეობის სამსახურში ჩადგა, მაგალითად, პირველი რიგის საწარმოო-ტექნიკური ბაზები ქ. თბილისში, რუსთავში, ცხინვალში, შეიქმნა საბინაო მეურნეობის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია; დამთავრდა „თბილისწყალსელსაწყოს" ქარხნის მშენებლობა, შეიქმნა წყლის ხარისხის სამეცნიერო ლაბორატორია, ხოლო რესპუბლიკის ერ ქალაქში — საწარმოო ლაბორატორია, აგრეთვე გამსვლელი ლაბორატორია; თბომიეურნეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საექსპლოატაციოდ გადაეცა სამინისტროს სარემონტო-მექანიკური ქარხანა.

მაგრამ როგორი ვრცელიც უნდა იყოს განხორციელებულ ღონისძიებათა ნუსხა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ყველა ღონე ვიხმარეთ რესპუბლიკაში კომუნალური სამსახურის სადღეისო მოთხოვნათა დონეზე დაყენებისათვის. ამ სფეროში არსებული ნაკლოვანებები, და თანაც ფრიად სერიოზული, მკაცრად იქნა გაკრიტიკებული თბილისის პარტიული საქალაქო კონფერენციის ტრიბუნიდან. და ეს ნაკლოვანებები მარტო თბილისს როდი ეხება.

გარდა იმისა, რომ აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაძლევა ჩვენი დარგის თითოეული მუშაკის პირადი პასუხისმგებლობის გაზრდას, თავის სამუშაო უბანზე კეთილსინდისიერ შრომას მოითხოვს, საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება და რაც შეიძლება მალე.

საბინაო ფონდის ექსპლოატაციისა და რემონტის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის დადგენილების შესაბამისად სამინისტრომ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს საბინაო ფონდის ადგილობრივი საბჭოებისთვის გადაცემას, საბინაო საექსპლოატაციო კანტორების ორგანიზაციის სტრუქტურის სრულყოფას, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას და სხვა.

საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობას დიდად შეუწყობს ხელს, მაგალითად, კაპიტალური რემონტის თანხების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმაში შეტანა, ბინების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად მშენებლების მიერ შენობების ორწლიანი გარანტიით ჩაბარება და მათი საექსპლოატაციოდ სახელმწიფო კომისიის მიერ მიღება.

ბევრი ჩანაფიქრი ჯერ კიდევ დამუშავების სტადიაშია.

ერთი სიტყვით, წინ დიდი სამუშაოები გვდევს, და რესპუბლიკის კომუნალური სამსახურის მუშაკები ზრუნვასა და ენერგიას არ მოაკლებენ მის უნაკლოდ შესრულებას.

ვ. სოგოლევი,
საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი.

ჩვენს დარგს ადამიანთა კეთილი განწყობილების სამსახურს უწოდებენ და სავსებით სამართლიანადაც. უფრო მეტიც, ჩვენ მიგვაჩნია, რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, როგორც იტყვიან, არამატერიალური რეზერვია.

სწორედ ამ საზომით უდგებოდა ხუთწლედის განვლილ წლებში კოლექტივი თავის ყოველდღიურ საქმიანობას და, დღეს შეიძლება თქვას, ამ მხრივ გარკვეული მიღწევებიც გვაქვს.

ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, მაგალითად, მომსახურების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც წლების მანძილზე ბევრად ჩამორჩებოდა საკავშირო მაჩვენებელს. 1978 წლისათვის ეს განსხვავება მკვეთრად შემცირდა და 23 მანეთს გადააჭარბა, ამასთან უპირატესი ყურადღება ექცეოდა სოფლად ანალოგიური მაჩვენებლის ზრდას.

დავასახელებ კიდევ ერთ ციფრს — ხუთწლედის განვლილ წლებში აბსოლუტურმა მატებამ 25 მილიონ მანეთს დააჭარბა. მათ შორის სოფლად თითქმის 10 მილიონს მიაღწია, ანუ გაიზარდა 134 პროცენტით, ხოლო სოფლად 169,8 პროცენტით. ზრდის მიღწეული ტემპი მეათე ხუთწლედის საგეგმო მაჩვენებლების იდენტურია, სოფლად აღემატება კიდეც.

რაოდენობრივ ზრდასთან ერთად არანაკლები ყურადღება ექცეოდა მომსახურების ხარისხობრივ მაჩვენებლების გაუმჯობესებას, რომლის ერთ-ერთი საფუძველია დარგის ინდუსტრიულ საწყისებზე განვითარება, კერძოდ, წარმოების კონცენტრაცია. კარგი შედეგები მოგვცა, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში სატრიკოტაჟო საამქროების გაერთიანებამ, რომლის სათაო საწარმო შეიქმნა თბილისში. იგი კოოპერაციის საფუძველზე ემსახურება აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს.

ანალოგიური ღონისძიება განვახორციელეთ აგრეთვე დასავლეთ საქართველოშიც.

შარშან მწყობრში ჩადგა მსხვილი საავეჯო საწარმო. იგი უახლესი სპეციალური მოწყობილობით აღიჭურვა, რაც უზრუნველყოფს ფართო ასორტიმენტის ხარისხიანი ავეჯის დამზადებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადია, განვლილი ეტაპია. გუშინდელი დღეა, და როცა მის შედეგებს ვაანალიზებთ, გვგრძნობთ რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები დიდ ვალში ვართ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მშრომელების წინაშე.

ამას წინათ გაიმართა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა აქტივის კრება, განვიხილეთ ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს თბილისის პარტიული ორგანიზაციის XXXVII საქალაქო კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან და ამ კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის სიტყვიდან. კრებამ შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს მომსახურების როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ზრდას უახლოეს მომავალში.

კადრებთან აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებთან ერთად, კვლავაც დიდი ყურადღება დაეთმობა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას, ეგრეთწოდებული „მოძრავი მომსახურების" გაფართოებას, რათა მომსახურების გარეშე არ დარჩეს არც ერთი მაღალმთიანი, თუ რაიონული ცენტრიდან დაშორებული სოფელი ან დასახლება. ამ მიზნით, მაგალითად, წლეულს შეძენილი იქნება სოფლად საცხოვრებელი ბინების შემკეთებელი კიდევ ერთი მოძრავი სახელოსნო, შეივსება ქიმწმენდის, თეთრეულის რეცხვის მოძრავი სახელოსნოების პარკი, სოფლის მშრომელებს, მწყემსებს მომსახურებას გაუწევენ მოძრავი კომპლექსური მიმღები პუნქტები, მოძრავი აბანოები და სხვა.

ღონისძიებების დასახვა ერთია, რა გინდ კარგად უნდა ეღერდეს იგი, მთავარია მისი ხორციშესხმა, მისი საბოლოო შედეგი, მისი მატერიალიზაცია. რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივი ყველა ღონეს იხმარს, რათა დასახული სინამდვილედ აქციოს, მის ყოველდღიურ საქმიანობას წითელ ზოლად გასდევდეს პარტიის მოწოდება „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის".

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲡ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲡᲪᲔᲛᲔᲒ

ᲰᲐᲜᲝᲘ. (საკდესი). ვიეტნამის შეიარაღებული ძალები და სახალხო მოლაშქრენი განაგრძობენ ბრძოლას ჩინელი ოკუპანტებისაგან თავიანთი ტერიტორიის განთავისუფლებისათვის. აგრესორების შეტევების მოგერიებისას ისინი დიდ ზიანს აყენებენ დამპყრობლების ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, ჰატუენის პროვინციაში ვიეტნამის ნაწილები განაგრძობდნენ მძიმე სასაზღვრო ბრძოლებს ჩინელ დამპყრობლებთან. აქ მოწინააღმდეგის წინსვლა შეაჩერეს. ვიეტნამელმა მეომრებმა, რომლებიც დარტყმას აყენებენ მტრის ნაწილებს, მწყობრიდან გამოიყვანეს დაახლოებით 450 ჯარისკაცი.

დოგვან-კადანგის უბანზე ჩინელებს სასაზღვრო ხაზისაკენ დაახევინეს. ლაოკაის მიმართულებით ვიეტნამის ნაწილების შეტევამ მოწინააღმდეგე აიძულა დაეტოვებინა ქალაქი ლაოკაი, თუმცა ქხიონგისა და ბასატის რაიონების ტერიტორია კვლავ მის ხელთაა. ლაიტიაუს მიმართულებით ვიეტნამის ნაწილები გავიდნენ სახელმწიფო საზღვარზე და გაანადგურეს ჩინეთის ჯარის ქვეგანაყოფები ქალაქ ფონგთოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში.

კაობანგის მიმართულებით დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქ კაობანგიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით 10-25 კილომეტრზე მდებარე რაიონში.

ლანგშონის მიმართულებით ჩინელებს დაახევინეს მიჯნაზე, რომელიც ვიეტნამელი მეომრების მიერ განთავისუფლებული ქალაქ დონგდანგის ჩრდილოეთით 3-კილომეტრზე მდებარეობს. ლონგბინიდან დონგდანგამდე საზღვრის უბანზე აგრესორებმა, რომლებმაც თავიანთი ქვეგანაყოფები გაიყვანეს ვიეტნამის ტერიტორიიდან ჯარებს თავი მოუყარეს ვიეტნამ-ჩინეთის საზღვრის გასწვრივ. ლონგბინის ჩრდილოეთით ჩინელები ჯარებს თავს უყრიან სოფელ ტიმაში.

საზღვრისპირა დასახლებული პუნქტის პატანის რაიონში ვიეტნამის ჯარის ნაწილები ბრძოლებს აწარმოებდნენ ოკუპანტებისა და ჩინეთის დივერსიული რაზმებისა და ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებსაც ამ რაიონში გზავნიან.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ. აქ ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი ოფიციალურად დაიკავა გენერალმა ჟუან ფიგეირედუმ, რომელიც გასული წლის ოქტომბერში აირჩიეს პრეზიდენტის არჩევნების დროს. პრეზიდენტის ძალაუფლების გადაცემის ცერემონიას დაესწრო უცხოეთის ბევრი დელეგაცია, მათ შორის სსრ კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის მეთაურობით. (საკდესი).

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 16 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა თურქეთის მთავრობის სხდომა, რომელზეც განიხილეს სენტოს სამხედრო ბლოკში თურქეთის წევრობის საკითხი. სხდომის დამთავრების შემდეგ გავრცელებულ თურქეთის მთავრობის განცხადებაში ნათქვამია: სენტოდან გამოსვლის შესახებ ირანისა და პაკისტანის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით ქვეყნის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გამოიჩინოს ინიციატივა სენტოს საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე.

პრესკონფერენციაზე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯევითმა დაადასტურა, რომ სენტოდან პაკისტანისა და ირანის გამოსვლის შემდეგ ამ ორგანიზაციამ „ფაქტიურად დაკარგა თავისი ფუნქციები".

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲔᲰᲠᲐᲜᲘ, 15 მარტი. (საკდესი). ირანში გრძელდება შაჰის რეჟიმის იმ დამჭაშთაგან სახელმწიფო აპარატისა და არმიის წმენდის პროცესი, რომლებსაც ბრალად ედებათ მძიმე დანაშაული ხალხის წინაღმდეგ. როგორც გაზეთი „ქეიხანი" წერს, ქალაქებში დეზფულში, შუშტერსა და ხეხავენდში რევოლუციური ტრიბუნალის განაჩენით დახვრიტეს არმიის ხუთი ოფიცერი და შაჰის საიდუმლო პოლიციის სავაკის თანამშრომლები, მათ შორის ერთი ბრიგადის გენერალი სატანკო ბრიგადის ყოფილი მეთაური, რომლებიც მონაწილეობდნენ პატრიოტთა წინააღმდეგ რეპრესიებში. დაიწყო სასამართლო პროცესი ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ა. ა. ჰოვეიდას საქმის გამო, რომელსაც ეს პოსტი ეკავა 1965-1977 წლებში.

დროებითი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მოგვარდეს ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება. როგორც ირანის ეროვნული ნავთობის კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, ნავთობის მოპოვება გასულ კვირაში 1,6 მილიონი ბარელიდან დღეღამეში 2,5 მილიონ ბარელამდე გაიზარდა. ირანს მთავრობა კვლავ აფართოებს კონტაქტებს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან. როგორც ფარსის სააგენტო იუწყება, თეირანში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლობის გახსნის შემდეგ მიღებულია გადაწყვეტილება ასეთი წარმომადგენლობა შეიქმნას ქალაქ ახვაზში.

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲙᲝᲛ�პᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ

ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ რამდენიმე წლის წინათ ვაშინგტონის ერთ-ერთი გარეუბნის მცხოვრები, 48 წლის ბეტი შარტი ბედის ქმაყოფილი იყო. იგი ჯერ ბიბლიოთეკარად მუშაობდა, შემდეგ კი ფოსტაში წერილების დამალვისებლად. დროდადრო უჭირდა ხოლმე — ღლიდა ზეგანაკვეთური სამუშაო, მაგრამ სამაგიეროდ ორიოდ კაპიკს შოულობდა. ბეტი შარტმა ლმის უკვე ირწმუნა პროპაგანდისტული ზღაპრები, თითქოს ამერიკაში „ნებისყოფიან, თავაზიან, გამრჯე კაცს" შეეძლოს დოლათიანი ცხოვრება და უზრუნველი მოხუცებულობის განაღდებაც.

მაგრამ მისი იმედები ქაღალდის ხუხულასავით დაინგრა. უბედურება 1977 წლის ივლისის ერთ დღეს დაატყდა თავს: იგი ფოსტიდან დაითხოვეს, რადგან წერილების სახარისხებელი კომპიუტერები დადგეს. ბეტი ფარხმალს არ ყრიდა: იგი შევიდა წერილების დამტარებლების კერძო კურსებზე, წარმატებით დამთავრა, მაგრამ სამუშაოზე ფოსტალიონადაც კი აღარ აღადგინეს. ბეტიმ დახმარება სთხოვა „ხალხის მსახურს" — კონგრესმენს ვირჯინიის შტატისაგან ჰერბერტ ჰარისს. ყველაფერი უშედეგო ოფიციალური მიმოწერით ამოიწურა.

შემდეგ მან სამუშაოზე მიღების შესახებ განცხადება გაუგზავნა შტატის დრაიბერთან შრომითი მოწყობის ბიუროს; სამედიცინო ანალიზების ლაბორატორიას და სხვა დაწესებულებებს. „პასუხად ერთი და იგივე მეს: ელოდეთ, გაცნობებთ, როცა დაგეჭირდებითო. ერთ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ვერავითარ ცნობას ვერ ვეღირსე". მისი აზრით, უარის მთავარი მიზეზი ის არის, რომ იგი ქალია, თანაც ხანში შესული.

პირველ ხანებში ბეტი უმუშევრობის დახმარებას იღებდა, მაგრამ ფინანსური დახმარების ეს პატარა წყაროც მალე დაშრა: უკვე წელიწადზე მეტია, ცენტიც არ მიუღია. არც სოციალური დახმარების იმედი აქვს, რადგან უშვილოა — ისე გადაჰყვა „არსებობისათვის ბრძოლას", რომ გათხოვებისთვის ვერ მოიცალა.

რომ დაითხოვეს, მაშინ ბეტის მცირეოდენი დანაზოგი ჰქონდა. ახლა ეს ფულიც ელევა. სასოწარკვეთილი ქალი იძულებულია ხელმოჭერილად იცხოვ

სუსტიანი სტრიქონები

რისი სუნი სდის გაზაფხულზე
ყვავილებსა და რისი გემო აქვს ხილს

მიმოზა... ზეგზეერითი სიჩქარით

საპაერო ლაინერში მიმოზის სურნელი დგას. თვითმფრინავის სატვირთო, ნაკვეთურები, საბარგე ბადურები, სავარძლებს შორის გასასვლელები უზარმაზარი ბარდანებით გაივსო, როგორც ისე მიიღეს როგორც სამგზავრო ტვირთი და ხელბარგი. ზღვისპირეთის აღრეული გაზაფხულის ამ კონცენტრატმა რეაქტიულ თვითფრინავთან ერთად აიღო სტარტი როგორც სანუკვარმა ძღვენმა დათოვლილი მოსკოვისაკენ, სადაც ჯერ კიდევ ქრის ცივი ქარახვეტი და შეეზოვენი სადარბაზოებთან ყინულს ფხეკავენ.

მეც მიმქონდა მიმოზა. ჩემს მარჯვნივ მჯდომ მეზობელსაც. ჩემს მარცხნივ მჯდომ ქალსაც. წინა და უკანა სავარძლებში მსხდომებსაც. ჩვენ მიგვქონდა ნაფლეთები უზარმაზარი სურნელოვანი ოქროსფერი ღრუბლისა, რომელიც თებერვლის დამლევიდან ჩამოსწოლია ჩვენი სანაპიროს ზღვისპირა ბორცვებს ბათუმიდან სოხუმამდე და დღეესაც არ გადაყრილა. თვალწინ მედგა ასეთი სურათი: მოსკოვში შეკრებლული სარკმელი, ნიხლში გახვეული ოსტანკინოს ლალებიანი ტელეანძა და ამ ფონზე ლარნაკში ჩადებული მიმოზა, რომლის თითოეულ ქარვისფერ ბურთულაში ბდღვრიალებს მოახლოებული გაზაფხულის მზე. ყოველ შემთხვევაში ასეთი დანშნულება ჰქონდა თაიგულს, რომელიც მოსკოვში მიმქონდა. და ასეთივე დანიშნულება ჰქონდა, ვფიქრობდი მე, კილოგრამობით მიმოზას, რომლებიც მოსკოვში მიჰქონდათ ჩემს მარცხნივ და მარჯვნივ, ჩემს წინ და ჩემს უკან მსხდომ მეზობლებს.

შემდეგ ერთ მათგანს შევხვდი მეტრო „კაშირსკაიას“ სადგურთან, სადაც ყვავილებით ვაჭრობენ. მან ის-ის იყო ხანში შესულ ქალს, რომელსაც, ჩანდა ონკოლოგიური ცენტრის საავადმყოფოში მიეჩქარებოდა, მიპყიდა ერთი რტო მიმოზა, მანეთიანი ჩაიჯიბა და ყიდვა-გაყიდვის მორიგი აქტისათვის ემზადებოდა... შევეკითხე რა გვარი და საიდან ხარ მეთქი. ყვავილის გამყიდველს, რომელიც მიმოზის თაიგულიდან ტოტის ამოღებას აპირებდა, ხელი ჰაერში გაუშეშდა, თვალები გაუფართოვდა.

— წადი, შენს საქმეს მიხედე! — აგდებულად მიპასუხა მან. — ჩემს ეზოში მომყავს მიმოზა, რასაც მინდა, იმას ვიზამ...

ყვავილებისათვის ჩამწკრივებულ მყიდველთა რიგმა სოლიდარობა გამოუცხადა გამყიდველს, ციოდა, ყველას უნდოდა, რაც შეიძლება მალე მიეტანა შინ გაზაფხულის მაცნე. აბა მანეთიანი ვის შეენანებოდა ამისათვის.

გამახსენდა ზღვისპირეთის ქედებზე ჩამოწოლილი უზარმაზარი ყვითელი ღრუბელი. ჩვენი ბუნების უხვი ძღვენი, რომელიც თითოეული ჩვენგანისათვის არაფრად ღირს. მაგრამ ყველა ჩვენგანს უდიდეს ფასად გვიჯდება ის, როცა თვითმოქმედი მეყვავილენი მის პატარ-პატარა ტოტებად გლეჯენ და ცალობით ჰყიდიან. გვიჯდება პატიოსნების, ღირსების, ჩვენი მიწა-წყლის კეთილი სახელის ფასად. აქ არცერთი გვარი არ დაგვისახელებია. ეს ხარვეზია კრიტიკული კორესპონდენციისათვის. მაგრამ ფაქტიც და მოვლენაც უცილობელია: ეტყობა, ქორვაჭრები ცდილობენ აღადგინონ ოდესღაც ჩანგრეული ყვავილების საპაერო ხიდი: რესპუბლიკის შავი ზღვისპირეთი — მოსკოვი.

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების მოკლე ცნობა: მარტის დამდეგიდან სპეკულანტებს ჩამოეთოვათ ოცი ტონა მიმოზა, ორასი ათას ცალამდე ნარგიზი და ტიტა...

აეროფლოტის სასწორებზე მორიგ ბარდანას დებენ. მტვრითავი ხელში იღებს მას და თვითმფრინავისაკენ მიაქვს. ყვავილის „ბაგაჟის“ შემოწმება არ ხდება. იგი ადვილად მფრინავს მოსკოვში... ზეგზეერითი სიჩქარით...

თ. მამალაძე,
საქინფორმის სპეც. კორ.

... და მანდარინი — ზეთით

ოჩამჩირის რაიონში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს სპეკულაციის მიზნით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსოვანთა გატანის ორგანიზატორები. იშოვეს რა სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციათა ფიქციური დოკუმენტები, მათ სოფელ არაკიჩის კოლმეურნეთა ჯგუფი წაეკეზეს ერეკლეში მანდარინი გაეყიდათ. თვითონ იკისრეს ამ უკანონო ოპერაციის განხორციელება.

ბოროტმზრახველებმა კოლმეურნეთაგან თვრამეტ ათას მანეთზე მეტი მიიღეს, რაც, როგორც მათ თქვეს, „საჭირო ადამიანების მოსაქრთამავად გვჭირდებოდაო“. ჩაფიქრებული ოპერაცია აღკვეთეს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა.

სულ უფრო უჭირთ სპეკულანტებს თავიანთი ანგარებითი გეგმების განხორციელება და მაინც... ამას წინათ გუდაუთის პროფილაქტიკის საკონტროლო-ტექნიკურ პუნქტთან დააკავეს ამერიკავკასიის რკინგზის წყალმომარაგების სოხუმის უბნის სატვირთო მანქანა. ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზე იყო. მძღოლის ნ. ჯენიუკის სამგზავრო ფურცელში ეწერა: მანქანას ოდესაში ტექნიკური ზეთი მიაქვს. როცა გულდასმით შეამოწმეს, სულ სხვა სურათი აღმოჩნდა. თურმე, თითოეული კასრის ყელს შიგნიდან მიდუღებული ჰქონდა ორდოუმიანი მილები, რომლებიც ტექნიკური ზეთით იყო სავსე. ხოლო კასრები ფსკერიდან მანდარინით დაეტვირთათ. სპეკულანტებს 2,5 ტონამდე ხილი მიჰქონდათ. ეს ხილი ეკუთვნოდა „ფხიანი“ მძღოლის სიძეს გ. ღვინჯილიას, გულრიფშის რაიონის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობის შოფერს. მას შეუძენია ჯერჯერობით დაუდგენელი პირებისაგან ფიქციური საგზაო ფურცელი, სამგზავნებო მოწმობა და სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადები, რომელსაც აფხაზავშირის ავტოსატრანსპორტო კანტორის ბეჭედი ჰქონდა.

ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებს ბეჭდით დაედასტურებინათ თავიანთი დოყლაპიობა.

როცა ეს ფაქტები განმარტა, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსმა ი. ნარმანიამ თქვა:

— რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები საზოგადოებრიობასთან ერთად უკომპრომისოდ იბრძვიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების სპეკულაციის, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მათი უკანონო გატანის წინააღმდეგ. ამ დროს მთავარი ყურადღება ეთმობა კოლექტიური სპეკულაციური ვოიაჟების ორგანიზატორთა — ეგრეთ წოდებულ „მერეისეთა“ მხილებას.

მიმდინარე წლის ორი თვის მანძილზე აღკვეთილია ასამდე ასეთი ცდა. გაზაფხულის დადგომასთან ერთად ჩვენს მუშაკებს საზრუნავი მოეატათო.

ვესაუბრებით აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ი. კლიმოვს, იგი ამბობს:

სპეკულანტთა მიმართ აფხაზეთის საზოგადოებრიობის მკაფიო და ნათელი პოზიცია განსაზღვრულია მისი აქტიური მონაწილეობით ისეთი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიცაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მომატებული ფასებით მათი გაყიდვის მიზნით. მაგრამ ეს ბრძოლა, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ მიდის ლოგიკურ დასასრულამდე, საქმე ის არის, რომ პირებს, რომლებიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსოვანთა გატანას აწყობენ, როგორც წესი, სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ მაშინ, თუ ანგარებითი მიზნით გამოიყენებენ სახელმწიფო „ტრანსპორტს. არსებითად „მერეისენი“ თავს იოლად აღწევენ. ამიტომ საჭიროა [illegible] რველიც არ არის, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი [illegible] ჰკიდებენ ხელს ამ საძრახისიანო საქმეს. როგორც ჩანს, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებმა სპეკულანტთა მიმართ უფრო მკაცრი ზომები უნდა მიიღონ.

შეშფოთებას იწვევს ასეთი ფაქტიც. გუდაუთის რაიონში დაკავეს მრავალტონიანი მანქანები, რომლებიც აჭარიდან ციტრუსებით დატვირთული ქვეყნის შორეულ რაიონებში მიდიოდნენ. ერთ-ერთი მანქანა, რომელიც იაროსლავლის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ეკუთვნოდა (მძღოლი ზ. ბახტაძე), დატვირთული იყო 12 ტონა მანდარინით, მეორე — ბათუმის № 5 ავტობაზის მანქანა (მძღოლი ნ. მიქელაძე) — თერმეტ ტონაზე მეტი ფორთოხლით და ბოლოს, მესამეზე — პოღოლკის სატვირთო ავტოტრანსპორტის გაერთიანების მანქანაზე (მძღოლი ნ. დემენიუკი) აღმოჩნდა შვიდ ტონაზე მეტი ციტრუსი.

იბადება კითხვა: როგორ მოაღწიეს დაუბრკოლებლად მთ ბათუმიდან გუდაუთამდე. შვიდობიანად როგორ გაბვლეს რამდენიმე საკონტროლო საგუშაგო?

თ. ჯიბუტი,
საქინფორმის კორ.

ე. მგელაძე

ძველ ბოლშევიკთა რიგებს გადასულ [illegible] ეკავიორი მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ესტატე ნიკოლოზის ძე **მგელაძე.**

ე. მგელაძე დაიბადა 1890 წელს სოფელ აცანაში (ლანჩხუთის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. ახალგაზრდობაში მუშაობდა მოჯამაგირედ, ჰურის მცხობლად ქერძო მესაკუთრესთან და სხვ. 1917 წელს შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში, მუშაობდა არალეგალურად, ეწეოდა აგიტაციას ბოლშევიკური პარტიის სასარგებლოდ, აგრეთვე ავრცელებდა პროკლამაციებს, რისთვისაც დენიდან მენშევიკური მთავრობა 1918-1920 წლებში რამდენჯერმე დააპატიმრეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921 წელს ირჩევენ აცანის თემკომის და მამათის რაიკომის მდივნად, აგრეთვე გურიის სამაზრო კომიტეტის ინფორმატორად. 1922 წელს არჩეული იყო გურიის კომიტეტის პარტიული კონფერენციის დელეგატად. 1923 წელს გადადის ქ. ბათუმში, სადაც აირჩიეს პარტიის ადმინისტრაციული ორგანოების გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარედ, შემდეგ მუშაობდა აჭარაპურტრესტის დირექტორის მოადგილედ, აქედან აჭარის ცაკთან არსებულ ბავშვთა კომისიის თავმჯდომარედ.

ე. მგელაძე დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით და მრავალი მედლით. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის ორგანიზაციის რაიკომთან არსებული ვეტერანთა საბჭო.

თბილისის ექიმ-სტომატოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა გამგეობის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი

ილია ზესარიონის ძე კეკელია

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ქუთაისის შრომის წითელი დროშის ორდენსანი გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექცია, პარტიული, პროფკავშირის და კომკავშირის კომიტეტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა 1955 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, სპეციალური ნიშნის „ორდენსანი“ საავტომობილო ქარხნის მთავარი ინჟინერის მოადგილე

ალექსანდრე ლარვენტის ძე ჩაკვეტაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კომპოზიტორთა ყრილობის წინ

ქლარს კამერული მუსიკა

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამ დღეებში საიუბილეო-საანგარიშო კონცერტი გამართა საქართველოს სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა.

თხუთმეტი წელი გავიდა ამ კოლექტივის პირველი ოფიციალური გამოსვლის დღიდან. ორკესტრის პირველი ხელმძღვანელი იყო დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი.

ორკესტრის შესრულებით პირველად აღიერდა ა. მაჭავარიანის, რ. გაბიჩვაძის, ო. თაქთაქიშვილის, ს. ნასიძის, ნ. მამისაშვილის, ვ. აზარაშვილის და სხვათა ნაწარმოებები. ანსამბლთან თანამშრომლობდნენ მსოფლიოში სასელგანთქმული მუსიკოსები ლ. ოგანი, ე. ვირსალაძე, მ. მდივანი, ლ. ისაკაძე. წლების მანძილზე ორკესტრს სათავეში ედგნენ მ. იაშვილი და ი. პოლიტკოვსკი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ამ კოლექტივის შემოქმედებითი კონტაქტები ცნობილ დირიჟორ ლ. მარკიშთან.

ამჟამად ორკესტრს სათავეში უდგას მაღალი კულტურის მქონე მრავალმხრივი მუსიკოსი — კომპოზიტორი, ვიოლონჩელისტი, დირიჟორი ედუარდ სანაძე. საიუბილეო კონცერტს მასთან ერთად დირიჟორობდა გ. აზმაიფარაშვილი.

სტილისტურად მრავალფეროვან პროგრამაში შეტანილი იყო სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორთა საუკეთესო ქმნილებები. მუსიკალური კლასიკა წარმოდგენილ იქნა XVII-XVIII საუკუნეების სახელგანთქმული კომპოზიტორების ა. კორელის სიუიტით, მოცარტის „ღამის პატარა სერენადით“, ბოკერინის ადაჟიოთი, სოლისტი იყო თ. გომელაური (ჩელო), რომლის დახვეწილი შესრულება და ხავერდოვანი ბგერა ძალზე შეეფარებოდა ამ მუსიკის სტილს. განსაკუთრებით გამოვყოფთ ვივალდის კონჩერტო გროსოს (რე-მინორი). ამ ვირტუოზულ საორკესტრო ქმნილებაში მოცემულია სოლო ინსტრუმენტების ჯგუფის „შეჯიბრება“ მთელ ორკესტრთან.

დიდი ადგილი დაეთმო თანამედროვე ქართულ მუსიკას. აჟღერდა ნ. მამისაშვილის სამი პიესა, მსმენელი მოიხიბლა ო. თაქთაქიშვილის იუმორესკის ჩინებული ინტერპრეტაციით.

დიდი ინტერესით მოვისმინეთ XX საუკუნის გამორჩენილი ინგლისელი კომპოზიტორის ბ. ბრიტენის ვარიაციები ფ. ბრიჯის თემაზე, რომლის შესრულებაც ჟეშმარიტად ვირტუოზულ ხელოვნებას მოითხოვს ორკესტრისაგან. მსმენელი აღფრთოვანა რომანსის (III ვარიაცია) და იტალიური არიის (IV ვარიაცია) რომანტიკული ელფერით გამსჭვალული მუსიკის დახვეწილმა შესრულებამ.

ანსამბლურობის არაჩვეულებრივმა გრძნობამ, თითოეული ორკესტრანტის პროფესიულმა ოსტატობამ და მაღალმა კულტურამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს სამართლიანად უკავია წამყვანი ადგილი ჩვენი ქვეყნის მუსიკალურ კოლექტივებს შორის.

ირინე ბარბაქაძე,
თბილისის კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის განყოფილების IV კურსის სტუდენტი.

სპელეოლოგიის ჰორიზონტები





სწავლობენ უშოლთის მღვიმეს

თბილისის უნივერსიტეტის სახელოგნისა

ოცი წლის წინათ გაზეთ „კომუნისტში“ პირველად დაიბეჭდა ცნობა ონის რაიონის სოფელ შქმერში არსებული უშოლთის მღვიმის შესახებ. წერილის ავტორები, პედაგოგები ბ. დაუშვილი და ზ. ფოფხაძე მკითხველებს აცნობდნენ ბუნების ამ მშვენიერ ძეგლს, რომელიც მათ ექვსას მეტრ მანძილზე შეისწავლეს; აღწერდნენ აქ არსებულ მრავალფეროვან ნაღვენთ ფორმებს. ისინი მიუთითებდნენ, რომ საჭიროა მღვიმის შემდგომი შესწავლა, სადაც მოსალოდნელია ახალი აღმოჩენები...

შარშან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიური ექსპედიცია სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, დოცენტ შ. ყიფიანის ხელმძღვანელობით იკვლევდა უშოლთის მღვიმეს. ექსპედიციამ მღვიმეში რამდენიმე ახალი განშტოება და დარბაზი აღმოაჩინა. ზოგიერთი დარბაზი ზღაპრული სილამაზის ნაღვენთებით არის დამშვენებული. მღვიმის საერთო სიგრძე ორი ათას ორასა მეტრამდე გაიზარდა. დღეისათვის იგი საქართველოს ერთ-ერთი უგრძესი მღვიმეა. სპელეოლოგებმა ყველაზე ლამაზ განშტოებას პირველაღმომჩენთა უფლებით „თბილისის უნივერსიტეტი“ უწოდეს. მღვიმის შესწავლა გრძელდება.

ჯ. ჯიშკარიანი,
ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე.

* * *

სურათებზე: „თბილისის უნივერსიტეტის“ ერთი კუთხე, მარჯვნივ — მღვიმის შესასვლელი.

ავტორის ფოტო.

ვ. კოვალიოვი — უძლიერესი

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ცოგურაობაში. გათამამდა მედლების კომპლექტი ვაჟთა შორის. მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ვლადიმერ კოვალიოვმა — 185,80 ქულა (ადგილების ჯამი — 17). ეს მისი მეორე წარმატებაა: იგი მსოფლიოში უძლიერესის წოდებას პირველად 1977 წელს დაეუფლა.

მეორე ადგილზე გავიდა რობინ კაზისი (ინგლისი) — 185,18 (22), მესამეზე — იან ჰოფმანი (გდრ) — 185,10 (23).

ლენინგრადელი იგორ ბობრინი მეათე იყო, ხოლო მოსკოველი კონსტანტინე კოკორა — მეთერთმეტე.

საკმარისია ყაიმი

იტალიის ქალაქ არკოში მიმდინარეობს მატჩი მსოფლიო პირველობაზე შაშში ანატოლი კარპოვსა (სსრ კავშირი) და ჰარმ ვირსმას (ჰოლანდია) შორის. ხუთი ტურის შემდეგ ანგარიშია 3:2 განტვარგის სასარგებლოდ. საბჭოთა დიდოსტატს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისათვის მატჩის ბოლო, მეექვსე ტურში ყაიმიც ყოფნის.

გაიმარჯვა სპასკიმ

ბიუნსენში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. ცამეტი შესაძლებლიდან საბჭოთა დიდოსტატმა სპასკიმ 8,5 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულა დააგროვეს ბალაშოვმა (სსრ კავშირი), ჰიუბნერმა (გფრ) და უანდერსონმა (შვეცია). კოეფიციენტების ცხრილით უპირატესობა სპასკის მინიჭა. სპასკიმ ბოლო ტურში დაამარცხა ჰიუბნერი. ბალაშოვმა და ანდერსონმა გაინაწილეს მეორე-მესამე ადგილები. ჰიუბნერი მეოთხე ადგილზე დარჩა.

ლიდერლოგენ მაია და ნანა

ბელგრადში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის მეათე ტურში მაია ჩიბურდანიძემ დაამარცხა ნიკოლუე-ვან დერ მიე (ჰოლანდია). ნანა ალექსანდრია-ბოშკოვიჩის (იუგოსლავია) პარტია გადაიდო. ალექსანდრიას 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ჩიბურდანიძეს — 7,5 ქულა. ორივემ 9-9 შეხვედრა გამართა.

ნაგიზი ფინალისაკენ

ბაშკენტში გაიმართა სსრ კავშირისა და უნგრეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა შეხვედრა უეფას თასის (ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატი) პროგრამით. საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0 და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს ფინალისაკენ. ახლა შერჩევით, მეთორმეტე ჯგუფში სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს 3-3 ქულა აქვთ. საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველი მატჩი უნგრელებთან ფრედ (0:0) დაამთავრეს, ხოლო უნგრელებმა დამარცხეს რუმინელები (3:0). ამ შერჩევითი ჯგუფის მორიგი მატჩების განრიგი ასეთია: **29 მარტი.** უნგრეთი-რუმინეთი, **4 აპრილი.** რუმინეთი-სსრ კავშირი, **11 აპრილი.** სსრ კავშირი-რუმინეთი. საბოლოოდ გამარჯვებული ფინალურ ტურნირში (ავსტრიაში) მიიღებს მონაწილეობას. ფინალის საგზურები უკვე მოიპოვეს ნორვეგიელებმა, შოტლანდიელებმა, ჰოლანდიელებმა, დანიელებმა და ავსტრიელებმა.

როგორც ხედავთ, ჯერჯერობით მეთორმეტე ჯგუფში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ბუნდოვანია. დ